# 1/2 ფინალი. საქართველო-ბელარუსი

2

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
21 ნოემბერი ოთხშაბათი 2018
№ 230 (15 478) ფასი 1₾



## ალეკო კაკაურიძის რუბრიკა
## ოთხშაბათის საკითხავი

ახალი თაობა თანდათან ჩვენთვის უცნობი, ძველი და ტკბილი ამბების მონაწილეები ვხდებით. ასეთი ამბები მხოლოდ ძველ კინოქრონიკებში გვინახავს. ეს არის სუფთა ქართული ამბები ჰაერში აფრენილი მტრედებისა თუ ატყორცნილი ქუდების, ჩვენი დიდი ვარსკვლავების სრულიად განუმეორებელი ამბები, რომელიც ჩემს თაობას არ ახსოვს. არადა, ძალიან ძნელია, როცა გაქვს საფეხბურთო სიცარიელე...

# გაცოცხლებული ქუდი



რატომ აისროლა ჰაერში ქუდი ხნიერმა ქომაგმა? უფროს თაობას ცხადად ახსოვს საფეხბურთო სასწაულები მარცხენა ფლანგზე, ტაიმებს შორის „ხალხთა დიდი გადასახლება მიშას კრაიზე".

ვაისის გუნდმა მოიგო მოსაგები თამაშები და ეს უკვე კარგია. „ახლები" ძალიან ხშირად მივტირით 90-იანებს, მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ ესთეტიკა როდია. თურმე რა ტკბილი ყოფილა ისეთი შედეგი, რომელიც მოაქვს ნორმალურ თამაშს.

მრავალი, კიდევ მრავალი წელი უნდა იყოს ჩაკვეტაძე საქართველოს ნაკრების ლიდერი. უნდა იყოს ისეთი ვარსკვლავი, რომელიც ამდენ ხანს ძალიან გვენატრებოდა - ჩუმი, უბრალო, მოკრძალებული და ხალხისთვის მოთამაშე.

4





Georgi Chakvetaze scored this stunner for Georgia & we want Spurs to sign him

SHARE

QUICK READS

Planet Football 20th November 2018

Georgi Chakvetaze has been linked with Tottenham Hotspur and Barcelona recently – and after watching him in Georgia's Nations League win over Kazakhstan, we're now desperate to see him in England.

2

## PLANETFOOTBALL

## ჩაკვეტაძე ზუსტად ის არის, რაც პრემიერლიგას აკლია

თუ ჩაკვეტაძე ტოტენჰემთან კონტრაქტს ხელს მოაწერს, ის თითქმის აუცილებლად გახდება პრემიერლიგის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე. აიძულეთ ის, რომ ეს ნაბიჯი გადადგას

# ჯანყი ინფანტინოს

გერმანული პრესის ცნობით, ფიფას პრეზიდენტი მზად არის, გაყიდოს მთელი მსოფლიოს ფეხბურთი 25 მილიარდ დოლარად. ინფანტინო მყიდველების ვინაობას არ ამხელს

6



ისიამოვნეთ გიორგი ჩაკვეტაძის თამაშით

## ერთა ლიგა და ამხანაგურები

### A ლიგა
III ჯგუფი

**პორტუგალია-პოლონეთი 1:1**

**გოლები:** 1:0 ანდრე სილვა (34)
**გაძევება:** დანილო პერეირა (63. პორტუგალია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუგალია | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| 2. იტალია | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| 3. პოლონეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |

### B ლიგა
II ჯგუფი

**შვედეთი-რუსეთი 2:0**

**გოლები:** 1:0 ლინდელიოფი (41), 2:0 ბერგი (72)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| 2. რუსეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| 3. თურქეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |

### C ლიგა
I ჯგუფი

**შოტლანდია-ისრაელი 3:2**

**გოლები:** 0:1 კაიალი (9), 1:1 ფორესტი (34), 2:1 ფორესტი (43), 3:1 ფორესტი (64), 3:2 ზაჰავი (75)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შოტლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 9 |
| 2. ისრაელი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| 3. ალბანეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:8 | 3 |

IV ჯგუფი

**სერბეთი-ლიეტუვა 4:1**

**გოლები:** 1:0 ჟულპა (51-საკ. კარში), 2:0 მიტროვიჩი (58), 2:1 პეტრავიჩუსი (64), 3:1 პრიოვიჩი (71), 4:1 ლიაიჩი (74)

**ჩერნოგორია-რუმინეთი 0:1**

**გოლი:** 0:1 ტუკუდეანი (44)
**გამოუყენებელი პენალტი:** იანკოვიჩი (72. ჩერნოგორია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 14 |
| 2. რუმინეთი | 6 | 3 | 3 | 0 | 8:3 | 12 |
| 3. ჩერნოგორია | 6 | 2 | 1 | 3 | 7:6 | 7 |
| 4. ლიეტუვა | 6 | 0 | 0 | 6 | 3:16 | 0 |

### D ლიგა
III ჯგუფი

**კოსოვო-აზერბაიჯანი 4:0**

**გოლები:** 1:0 ზენელი (2), 2:0 ზენელი (50), 3:0 რაჰმანი (61), 4:0 ზენელი (76)

**მალტა-ფარერები 1:1**

**გოლები:** 0:1 რ. იონსენი (3), 1:1 კორბოლანი (4)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოსოვო | 6 | 4 | 2 | 0 | 15:2 | 14 |
| 2. აზერბაიჯანი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 9 |
| 3. ფარერები | 6 | 1 | 2 | 3 | 5:10 | 5 |
| 4. მალტა | 6 | 0 | 3 | 3 | 5:14 | 3 |

### ამხანაგური მატჩები

**საფრანგეთი-ურუგვაი 1:0**

**გოლი:** 1:0 ჟირუ (51-პენ)
**საფრანგეთი (4-2-3-1):** ლორისი - პავარი, რამი, სახო (46. კიმპემბე), მენდი - კანტე, ნდომბელე (70. ფეკირი) - მბაპე (36. ტოვენი), მატუიდი (63. ნზონზი), გრიზმანი (90+3. სისოკო) - ჟირუ (80. პლეა).
**ურუგვაი (4-2-2):** კამპანია - მ. სუარესი, მენდესი, კასერესი, ლაქსალტი - ვალვერდე (60. დე არასკაეტა), ვესინო, ბენტანკური, ტორეირა (74. როდრიგესი) - ლ. სუარესი, კავანი.

**ბრაზილია-კამერუნი 1:0**

**გოლი:** 1:0 რიჩარლისონი (45)
**ბრაზილია (4-3-3):** ედერსონი - დანილო, მარკინიუსი, პაბლო, ალექსა სანდრო - ალანი, არტური, პაულინიო (69. უოლასი) - ვილიანი (68. დუგლას კოშტა), ნეიმარი (8. რიჩარლისონი), ფირმინო (46. გაბრიელ ჟეზუში).

**იტალია-აშშ 1:0**

**გოლი:** 1:0 პოლიტანო (90+4)
**იტალია (4-3-3):** სირიგუ - დე შილიო, ბონუჩი, აჩერბი, ემერსონი - ბარელა (76. გალიარდინი), სენსი, ვერატი - კიეზა (46. გრიფო), ბერარდი (62. კინი), ლაზანია (87. პოლიტანო).


Georgi Chakvetaze scored this stunner for Georgia & we want Spurs to sign him
SHARE
QUICK READS
Planet Football 20th November 2018
Georgi Chakvetaze has been linked with Tottenham Hotspur and Barcelona recently – and after watching him in Georgia's Nations League win over Kazakhstan, we're now desperate to see him in England.

PLANETFOOTBALL

# ჩაკვეტაძე ზუსტად ის არის, რაც პრემიერლიგას აკლია

გამოცემა planetfootball.com-მა გამოაქვეყნა წერილი **გიორგი ჩაკვეტაძეზე**, რომლის ყველაზე საინტერესო ნაწილსაც გთავაზობთ. წერილის ავტორი მიმართავს ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ტოტენჰემის" მენეჯმენტს, რომ ქართველთან კონტრაქტი გააფორმოს.

*„ჩაკვეტაძემ საქართველოსთვის ბრწყინვალე გოლი გაიტანა და ჩვენ გვინდა, რომ „ტოტენჰემმა" კონტრაქტი გაუფორმოს მას"*, - ასეთი სათაური აქვს წერილს.

შემდეგ უკვე გაიხსენეს ჩაკვეტაძისადმი ლონდონური კლუბის ინტერესი და მასთან დაკავშირებული ისტორიები: *„გიორგი ჩაკვეტაძის სახელი ახლახან „ტოტენჰემსა" და „ბარსელონას" დაუკავშირეს. ახლა, როცა ვნახეთ, როგორ ითამაშა საქართველოს ნაკრებში ერთა ლიგაზე ყაზახეთთან, ჩვენ ახლა ძალიან გვინდა, რომ ის ინგლისში ვიხილოთ. „გენტის" 19 წლის გარემარბმა კლუბისა და ქვეყნის სახელით ბოლო 8 მატჩში 7 გოლი გაიტანა და გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოა. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელი გულშემატკივრები ფოკუსირებულნი არიან ერთა ლიგის ზედა დივიზიონის თამაშებზე, ტურნირის ფორმატი შანსს მცირე ქვეყნებსაც აძლევს. ნორმალურ ვითარებაში, ნაკლებად სავარაუდოა, თქვენ შეძლოთ ყაზახეთისა და საქართველოს ნაკრებების შეხვედრის ბრიტანეთში პირდაპირ ეთერში ყურება. ამიტომ ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ ჩაკვეტაძის მასტერკლასის ნახვის შანსი მოგვეცა. ჭაბუკმა ფეხბურთელმა თავდაპირველად გიორგი მერებაშვილს გაატანინა, შემდეგ კი თავად გაიტანა".*

გამოცემა საქართველოს ნაკრების წარმატებასაც აღნიშნავს: *„საქართველომ ერთა ლიგის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, 18 შესაძლებელი 16 ქულა დააგროვა. ამ თამაშებში ჩაკვეტაძემ 4 გოლი გაიტანა და ადვილი გასაგები გახდა, მისით ჩემპიონთა ლიგის რამდენიმე გუნდი რატომ ინტერესდება. ინგლისში ჩამოსვლამდე „გენტში" ბევრმა ფეხბურთელმა ითამაშა - მათ შორის, მიდომ, ბრაიან რუისმა და ლორან დეპუატრმა. როცა ყაზახეთთან მატჩში ჩაკვეტაძეს ვუყურებდით, ძნელი არ იყო პრემიერლიგაში ნათამაშები ქართველი არ გაგვეხსენებინა გიორგი ქინქლაძე. „მანჩესტერ სიტი" მაშინ ძალიან სუსტი იყო, მაგრამ ერთი წელი ვუყურებდით ქინქლაძეს, სანამ გუნდი დაქვეითდებოდა. მერე კი „დერბი ქაუნთიში" გამოჩნდა. ეს დანაკლისი მერე გარკვეული დროით თემურ ქეცბაიამ შეგვივსო. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ზურაბ ხიზანიშვილი იგივე არ იყო".*

planetfootball.com დარწმუნებულია, რომ ჩაკვეტაძის სტილის მოთამაშე ინგლისის პრემიერლიგას მოუხდება: *„თქვენ თუ ნახავთ ყაზახეთთან მატჩისას გიორგი ჩაკვეტაძის მომენტებს, მიხვდებით, რომ ქართველი ფეხბურთელი ზუსტად ისაა, რაც არ ვიცოდით, რომ გვაკლდა, მაგრამ ცალსახად გვაკლია. ალბათ, ძალიან ადრეა იმაზე ლაპარაკი, რომ ჩაკვეტაძე „ტოტენჰემში" ჩაირიცხება. მაგრამ თუ კონტრაქტს ხელს მოაწერს, ის თითქმის აუცილებლად გახდება პრემიერლიგის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოთამაშე. ახლა აიძულეთ ის, რომ ეს ნაბიჯი გადადგას".*

**მერაბ მამულაშვილი**

ერთა ლიგა და ევრო 2020

# ბელარუსი და მეოთხე კალათა

## ყველაფერი დალაგდა, ველოდებით წილისყრას

კოსოვოს ნაკრებმა აზერბაიჯანს 4:0 სძლია და საქართველოს ნაკრების მეტოქეც გაირკვა - ერთა ლიგის ნახევარფინალში „ჯვაროსნები" ბელარუსს შეხვდებიან.

ერთა ლიგის D დივიზიონის ოთხივე ჯგუფში გამარჯვებულებს შორის საქართველოს ნაკრებმა 16 ქულა დააგროვა, ამ დივიზიონში საუკეთესო მაჩვენებელია. ამით ნახევარფინალის მასპინძლობა გავინაღდეთ. ამავე დროს, D დივიზიონში საუკეთესო რეიტინგიც გვაქვს.

რეგლამენტით, უკეთესი რეიტინგის გუნდი უნდა შეხვდეს უარესი რეიტინგის მქონეს. ეს უარესი კი (43-ე) აღმოაჩნდა ბელარუსს.

საბოლოოდ ვითარება ასეთია: **საქართველო - 16 ქულა (ბურთების სხვაობა +10), მაკედონია - 15 (+9), კოსოვო - 14 (+13), ბელარუსი - 14 (+10).**

ამას გარდა, საქართველო ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის წილისყრის წინ მოხვდა მე-4 კალათაში. ეს კალათები კი ასე დალაგდა:

1) **ინგლისი, ჰოლანდია, პორტუგალია, შვეიცარია, ბელგია, ხორვატია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, პოლონეთი**
2) **ავსტრია, ბოსნია, ჩეხეთი, დანია, ისლანდია, რუსეთი, შვედეთი, უკრაინა, უელსი, გერმანია**
3) **ფინეთი, ჩრ. ირლანდია, ნორვეგია, ირლანდია, სერბეთი, სლოვაკეთი, თურქეთი, შოტლანდია, ბულგარეთი, ისრაელი**
4) **უნგრეთი, რუმინეთი, ალბანეთი, კვიპროსი, ესტონეთი, საქართველო, საბერძნეთი, ლიეტუვა, ჩერნოგორია, სლოვენია**
5) **სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, გიბრალტარი, ყაზახეთი, კოსოვო, ლუქსემბურგი, მაკედონია, მოლდოვა, ფარერები**
6) **ანდორა, ლატვია, ლიხტენშტაინი, სან მარინო, მალტა**

წინასწარაა ცნობილი, რომ ევრო 2020 პირველი იქნება, სადაც საკვალიფიკაციო ეტაპს მასპინძელი ქვეყანაც გაივლის, რადგან ფინალურ ეტაპს 12 ქვეყანა უმასპინძლებს.

შესაბამისად, ფინალური ეტაპის მასპინძელი ქვეყნები (ინგლისი, შოტლანდია, ესპანეთი, გერმანია, დანია, იტალია, ჰოლანდია, ირლანდია, უნგრეთი, რუმინეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი) ერთ ჯგუფში ვერ მოხვდებიან.

ტერიტორიული შეზღუდვაც დაწესდა: მაგალითად, ისლანდია არ შეიძლება ერთდროულად საქართველოსთან, სომხეთთან, კვიპროსსა და ისრაელთან მოხვდეს...

პოლიტიკური დაპირისპირების გამო ერთ ჯგუფში ვერ მოხვდებიან უკრაინა-რუსეთი, აზერბაიჯანი-სომხეთი, გიბრალტარი-ესპანეთი, კოსოვო-ბოსნია, კოსოვო-სერბეთი.

კლიმატური შეზღუდვის გამო უეფა ამიერიდან არც იმას დაუშვებს, რომ ერთ ჯგუფში ორზე მეტი მკაცრი ზამთრით გამორჩეული ქვეყნის (ბელარუსი, ესტონეთი, ფარერები, ფინეთი, ისლანდია, ლატვია, ლიეტუვა, ნორვეგია, რუსეთი, უკრაინა) ნაკრები მოხვდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

2012 წელი. საქართველო-ბელარუსი 1:0 თორნიკე ოქრიაშვილის გოლი

# სად ხედავს რევაზ ძოძუაშვილი ნაკრების სუსტ წერტილს?

## ალბათ, მიშა მესხის, სლავა მეტრეველისა და ვოვა გუცაევის აურა გადაედო გიორგი ჩაკვეტაძესაც...

**საქართველოს** ნაკრებს სულ რაღაც ორი გამარჯვება აშორებს ისტორიულ მიზნამდე - ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. გადამწყვეტ მატჩებს მოუთმენლად ველით. გუშინ „ლელო" ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს, რევაზ ძოძუაშვილს დაუკავშირდა და ინტერვიუ ჩაწერა. როგორც ყოველთვის, „მიხიჩამ" საინტერესოდ ილაპარაკა...

- უზომოდ გახარებული ვარ იმით, რაც მოხდა. ძალიან ახლოს ვართ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრასთან. ახლა უკვე ვიტყვი თამამად, რომ ერთა ლიგა არის შესანიშნავი ტურნირი. ეს არის ჩვენი შანსი. ჯგუფი ისეთი გვყავდა, რომ რაღაცით საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მომაგონა. ჩვენ ყველამ ვნახეთ ერთად, რომ ქართველებს შეგვიძლია ფეხბურთის თამაში და თან კარგადაც შეგვიძლია. მართლაც კარგი დონის ფეხბურთი ვითამაშეთ. მინდა, მთელ საქართველოს მივულოცო!

**- ერთა ლიგა და ჯგუფში გამარჯვება გასაგებია, მაგრამ კონკრეტულად ყაზახეთთან შეხვედრაზე რას იტყვით?**

- პირველ რიგში იმას, რაც ყველასთვის უეჭველია - ჩვენი გამარჯვება დამსახურებული იყო. დავიწყოთ მეკარით. გიორგი ლორიამ შეცდომა დაუშვა ანდორაში, მაგრამ ყაზახეთთან შესანიშნავად ითამაშა. დაცვის ცენტრი კარგი იყო. ფლანგებმაც კარგად ითამაშეს. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ოთარ კაკაბაძე და გიორგი ჩაკვეტაძე აჩვენებენ ევროპული და, ვიტყოდი, მსოფლიო დონის ფეხბურთს. შესანიშნავი იყო გიორგი მერებაშვილიც. ოდნავ სუსტად მეჩვენება ცენტრალური ზონა. ჩემი აზრით, ეს ზონა უნდა გაძლიერდეს, თუ გვინდა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გავიდეთ... რა თქმა უნდა, არის ნაკლი და სამუშაოც ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ამ დროისთვის არის შედეგი. ჩვენ ვნახეთ, როგორ გაიხარა ხალხმა... აბა, მითხარით, როგორ არ გადავიდე ახლა პოლიტიკაში. თამაშზე სალომე ზურაბიშვილი იყო მოსული. რა კარგი ფეხი ჰქონია!.. ჩვენ ექსპერტები და ვეტერანები ვიყავით ლოჟაში და ყველამ ვკითხეთ კახა კალაძეს, ხომ არ ემუქრება რამე საფრთხე ფეხბურთს და მან გვითხრა, რომ არ არის ასეთი საფრთხე... მწარედ ცდება ის, ვინც მიიჩნევს, რომ ფეხბურთი არ არის ქართველების სპორტი. ჩვენ რაც შევძელით, ვითამაშეთ და დღეს თამაშობენ ეს ბიჭები. ფეხბურთს ყველაზე დიდი სიხარული მოაქვს ხალხისთვის. რომელი ჯობია - ბებიას 20 ლარით რომ გაეზრდება პენსია, თუ 20 ათასს რომ შეიტანს ოჯახში მისი ფეხბურთელი შვილიშვილი?

**- ვლადიმირ ვაისზე რას იტყვით?**

- ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ის მაღალი კლასის მწვრთნელია და ეს ერთხელაც გამოჩნდა. მან შეძლო და სტაბილურობა შეიტანა გუნდში. კონცენტრაცია იყო თავიდან ბოლომდე. მეტოქე კარგად გაშიფრა და „წაიკითხა". ვაისს სულ ვაქებ. მომწონს ეს მწვრთნელი.

**- რა თქმა უნდა, ცალკე უნდა ვილაპარაკოთ გიორგი ჩაკვეტაძეზე...**

- მარცხენა ფლანგზე იმდენი კარგი ფეხბურთელი მინახავს... მიშა მესხი მინახავს, სლავა მეტრეველი, ვოვა გუცაევი... მე მგონია, რომ ამ ფლანგზე რაღაც განსაკუთრებული აურაა ჩვენთვის, რადგან სულ დიდი ფეხბურთელები გვყავდა. ალბათ, ეს აურა გადაედო გიორგი ჩაკვეტაძესაც. როცა 19 წლის ხარ და მთელი სტადიონი გიკრავს ტაშს, ამაზე უკეთესი და კარგი ვერაფერი იქნება... სხვათა შორის, ჩაკვეტაძე თამაზ კოსტავამ აღზარდა. ესეც თქვენ კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ძველი და დიდი ფეხბურთელები არ არიან გადასაგდები ხალხი. შეიძლება, პროლიცენზია არ გქონდეს, მაგრამ ფეხბურთი იცოდე... ჩაკვეტაძე რომ ძალიან მაგარია, ამას თქმა რად უნდა! მარტო ის ერთი მოძრაობა ღირდა ათასად!.. ახლა მე მინდა ვუთხრა მას, რომ ბევრი აქვს კიდევ სასწავლი, რომ კიდევ ბევრი უნდა იშრომოს და არავითარ შემთხვევაში არ ჩათვალოს, რომ უკვე შედგა როგორც ვარსკვლავი. მასზე ყველაფერი კარგი გამიგონია და მჯერა, ასეც იზამს... ჩვენ სულ გვყავდა დიდი ვარსკვლავები და ძალიან მინდა, რომ ჩაკვეტაძე მათ რიგებში ჩაეწეროს. ვიცი, რომ მას ძალიან უყვარს ფეხბურთი - ეს არის სწორედ მთავარი და მნიშვნელოვანი! ეს არის ის, რის გარეშეც არაფერი გამოვა. ჩვენ გვყავდა დიდი გაქანების რამდენიმე ფეხბურთელი, მაგრამ ისინი რამდენიმე მიზეზის გამო დავკარგეთ. მენეჯერებმა წაიყვანეს და წამოიყვანეს... ასე ფიქრობდნენ - მერე რა, თუ დღეს გაუცდება, ხვალ ითამაშებსო. ასე არ არის ფეხბურთი. ფეხბურთი არ გპატიობს ბევრ რამეს. მჯერა, სწორად წარმართავს ჩაკვეტაძე თავის კარიერას.

**- ევროპის ჩემპიონატამდე ორი ნაბიჯიღა დარჩა...**

- ...და ეს ნაბიჯები უნდა გადავდგათ. მე თუ მკითხავთ, ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვინ შეგვხვდება ნახევარფინალში. თბილისში ყველას დამარცხება შეგვიძლია. წელანაც გითხარით - მთავარია, ცოტა ცენტრი გავაძლიეროთ. მჯერა, ვაისი შეძლებს ამას. მან ბევრი გააკეთა, დაალაგა გუნდი... ფეხბურთში ყველაფერი ხდება და საკუთარი თავის უნდა დავიჯეროთ. აგერ, შვეიცარიამ რა გააკეთა ბელგიასთან, რა სასწაული მოახდინა! ჩვენც შეგვიძლია და ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ!

**ალეკო კაკაურიძე**

...ის მაღალი კლასის მწვრთნელია და ეს ერთხელაც გამოჩნდა. მან შეძლო და სტაბილურობა შეიტანა გუნდში. კონცენტრაცია იყო თავიდან ბოლომდე. მეტოქე კარგად გაშიფრა და წაიკითხა...

...ჩვენ გვყავდა დიდი გაქანების რამდენიმე ფეხბურთელი, მაგრამ ისინი რამდენიმე მიზეზის გამო დავკარგეთ. მენეჯერებმა წაიყვანეს და წამოიყვანეს... ასე ფიქრობდნენ - მერე რა, თუ დღეს გაუცდება, ხვალ ითამაშებსო. ასე არ არის ფეხბურთი...



...ჩაკვეტაძე თამაზ კოსტავამ აღზარდა. ესეც თქვენ კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ძველი და დიდი ფეხბურთელები არ არიან გადასაგდები ხალხი. შეიძლება, პროლიცენზია არ გქონდეს, მაგრამ ფეხბურთი იცოდე...

ციფრები და ფაქტები



გიორგი ჩაკვეტაძე და გიორგი მერებაშვილი

# ერთა ლიგაში ჩაკვეტაძე საუკეთესოა

## ...და საუკეთესოებში ქართველები დომინირებენ

**საფეხბურთო ანალიტიკისა და სტატისტიკის პოპულარულმა პორტალმა whoscored.com-მა ერთა ლიგის უამრავი ციფრი და ფაქტი გამოაქვეყნა, რაც საქართველოს ნაკრების გულშემატკივრებისთვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს...**

დასახელდა D ლიგის ბოლო, მე-6 ტურის სიმბოლური ნაკრები, სადაც 4 ქართველი მოხვდა.

**დ. ნეპოგოდოვი (7.3, ყაზახეთი), რ. სავალნიექსი (6.9, ლატვია), გ. სუიუმბაევი (7.2, ყაზახეთი), ს. მუჟიკოვი (7.6, ყაზახეთი), ს. კვირკველია (7.8, საქართველო), ვ. იაგოდინსკისი (7.3, ლატვია), გ. მერებაშვილი (7.6, საქართველო), მ. ვალესი (7.6, ანდორა), ვ. ყაზაიშვილი (7.4, საქართველო), კ. მარტინესი (6.6, ანდორა), ჩაკვეტაძე (8.7, საქართველო).**

ყველაზე უცნაური ისაა, რომ სიმბოლურ 11 მოთამაშეს შორის საქართველოს ნაკრებიდან 4 მოთამაშე მოხვდა, 3-3 ლატვიისა და ყაზახეთიდან, ხოლო თითო - ანდორიდან. უცნაურია ისიც, რომ საუკეთესოებში არ იყო **ჯაბა კანკავა**, რომელიც მთელი ამ ტურნირის დროს, **გიორგი ჩაკვეტაძესთან** ერთად, საქართველოს ნაკრების საკვანძო მოთამაშე იყო.

უშუალოდ ტურის საუკეთესო მოთამაშე ჩაკვეტაძე იყო, რომელმაც 8.7 ქულა დაიმსახურა - მსგავსი შეფასება ჩვენს ჯგუფში არ დაწერილა.

საიტმა მთლიანად ჯგუფური ეტაპის სიმბოლური გუნდიც დაასახელა, სადაც 8 ქართველი ფეხბურთელი მოხვდა.

**გ. ლორია (6.8, საქართველო), ო. კაკაბაძე (7.2, საქართველო), გ. კაშია (7.3, საქართველო), ს. კვირკველია (7.6, საქართველო), გ. სუიუმბაევი (7.8, ყაზახეთი), ჯ. კანკავა (7.7, საქართველო), გ. ჩაკვეტაძე (8.2, საქართველო), ნ. კვეკვესკირი (7.3, საქართველო), ბ. ისლამხანი (7.4, ყაზახეთი), ვ. ყაზაიშვილი (7.2, საქართველო), დ. რაკელსი (6.7, ლატვია).**

### შეფასებები ყაზახეთთან

**1. ლორია - 6.3, კაკაბაძე - 6.7, კაშია - 6,8 კვირკველია - 7.8, დვალი - 6.9, კანკავა - 7.3, კვეკვესკირი - 7.3, მერებაშვილი - 7.6, გვილია - 6.2, ჩაკვეტაძე - 8.7, ყაზაიშვილი - 7.4;** შეცვლაზე: **ხოჭოლავა - 6.15, აბურჯანია - 6.0, კაჭარავა - 6.0.**

### ქართველების საშუალო რეიტინგი

ცხადია, საუკეთესო სამეული ძნელად გამოსაცნობი არ არის.

| | |
|---|---|
| **გიორგი ჩაკვეტაძე** | **8.17** |
| **ჯაბა კანკავა** | **7.68** |
| **საბა კვირკველია** | **7.57** |
| გურამ კაშია | 7.33 |
| ნიკა კვეკვესკირი | 7.26 |
| გიორგი ნავალოვსკი | 7.26 |
| ოთარ კაკაბაძე | 7.24 |
| ვაკო ყაზაიშვილი | 7.19 |
| ლაშა დვალი | 7.09 |
| გიორგი მერებაშვილი | 6.98 |
| ოთარ კიტეიშვილი | 6.95 |
| ჯიმი ტაბიძე | 6.89 |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 6.86 |
| გიორგი ლორია | 6.76 |
| გიორგი ქვილითაია | 6.54 |
| გიორგი აბურჯანია | 6.53 |
| დავით ხოჭოლავა | 6.53 |
| ვალერიან გვილია | 6.43 |
| ჯაბა ჯიღაური | 6.41 |
| ჯანო ანანიძე | 6.38 |
| ნიკა კაჭარავა | 6.18 |
| გიორგი პაპუნაშვილი | 6.12 |
| ვახტანგ ჭანტურიშვილი | 6.07 |
| ბაჩანა არაბული | 5.95 |
| ლუკა ზარანდია | 5.95 |

| ბურთის ფლობა | |
|---|---|
| საქართველო | 60.8% |
| ყაზახეთი | 57.2% |
| ლატვია | 50.0% |
| ანდორა | 32.0% |

| ყვითელი/წითელი | |
|---|---|
| ანდორა | 19/2 |
| ყაზახეთი | 10/1 |
| ლატვია | 9/1 |
| საქართველო | 4/0 |

| საჰაერო ორთაბრძოლაში გამარჯვება | |
|---|---|
| ყაზახეთი | 55.7% |
| ლატვია | 54.8% |
| საქართველო | 48.9% |
| ანდორა | 38.5% |

| კარში დარტყმა (საშ) | |
|---|---|
| ყაზახეთი | 17.7 |
| საქართველო | 16.0 |
| ლატვია | 8.30 |
| ანდორა | 4.70 |

| კარში დარტყმა (საშ) | | |
|---|---|---|
| ბ. ისლამხანი | ყაზ | 2.8 |
| ვ. ყაზაიშვილი | საქ | 2.5 |
| ი. კუატი | ყაზ | 2.3 |
| გ. ჩაკვეტაძე | საქ | 2.3 |
| ბ. ტურსიბეკი | ყაზ | 2.2 |

გაგრძელება მე-5 გვერდზე »



ალეკო კაკაურიძის რუბრიკა



## ოთხშაბათის საკითხავი

**საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ორი გამარჯვება აშორებს ევროპის ჩემპიონატამდე. ეს უკვე ძალიან კარგი ამბავია. კიდევ უფრო კარგი ამბავია ის, რომ ეს ორი გამარჯვება სავსებით რეალურია და სულაც არ სჭირდება დიდი გმირობა. ჩვენ თუ ჩვენი თამაში ვითამაშეთ და საკუთარ თავს თავადვე არ ვავნეთ, ორივე თამაში უნდა მოვიგოთ...**

ფეხბურთს სავსებით წარმოუდგენელი სიხარულის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის და ეს ერთხელაც ვნახეთ ორშაბათ საღამოს. თითქოს ჯერ ყაზახეთი რა არის და მერე ისიც ექსპერიმენტული შემადგენლობით მოთამაშე, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რაც თავი მახსოვს, სატურნირო მნიშვნელობის მქონე ამხელა გამარჯვება ჩვენ არ გვქონია. არ გვქონია ისეთი მოგება, რომელიც ორი ნაბიჯით მიგვაახლოებდა რომელიმე დიდ ტურნირამდე და რომელიც ორი გადამწყვეტი თამაშიდან ერთს შინ გვათამაშებდა...

თქმა რად უნდა, საქართველოს ნაკრებთან ერთად ჩვენი ეს დიდი სიხარული უეფას დამსახურებაცაა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ რაც უნდა გულუხვი იყოს ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო საჩუქრებში, თუ შენ ხელი (ფეხი) არ გაანძრიე, ისე არაფერი გამოვა.

გავანძრიეთ და კარგადაც, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა. ისიც უეჭველია,



საქართველო-ყაზახეთი 2:1 მიმოხილვა

# ფეხბურთი ჩვენი სიხარულისა



რომ ჩვენ ძალიან მოგვიხდა ეს დიდი სიხარული. საქართველომ თითქოს წამის მეასედში შეიბერტყა წლების განმავლობაში დაგროვებული საფეხბურთო დარდი და ათასი პრობლემის მიუხედავად, ისევ გახდა საფეხბურთო სიხარულის მატარებელი.

ამ ბოლო დროს ნაკრების თამაშზე რომ მივდივარ, სულ უბრალო ქომაგებში ვჯდები. იქიდან უკეთ ჩანს რალაცები. თითქოს, უფრო სადად, უბრალოდ და სხვანაირად უყურებ დასანახს. ასე იყო ორშაბათსაც და მე ვნახე სამოცდაათიოდე წლის კაცი, რომელიც სიხარულისგან სრულიად შეშლილი წამოახტუნა რამდენჯერმე **გიორგი ჩაკვეტაძემ**. მეორე გოლზე კი თავი ველარ შეიკავა და ჰაერში ატყორცნა, ვინ იცის, მამასისხლად ნაყიდი ქუდი და გვარიანი ჯაფა გადახდა მანამ, სანამ დიდი ძებნის შემდეგ დაიბრუნებდა სადღაც ჩაკარგულ, ცოტა შელანძღულ ნივთს...

ჩვენ თანდათან რაღაცნაირი, ჩვენთვის უცნობი, ძველი და ტკბილი ამბების მონაწილეები ვხდებით. მე პირადად ასეთი ამბები მხოლოდ ძველ კინოქრონიკებში მინახავს. ეს ამბები არის სუფთა ქართული ამბები ჰაერში აფრენილი მტრედებისა თუ ატყორცნილი ქუდების, ბორის პაიჭაძეებისა და გაიოზ ჯეჯელავების, ბასას, მიშა მესხის, სლავა მეტრეველის, დათო ყიფიანის, ვოვა გუცაევისა და სხვა დიდი ვარსკვლავების სრულიად განუმეორებელი ამბები, რომელიც ჩემს თაობას არ ახსოვს. არადა, ძალიან ძნელია, როცა გაქვს საფეხბურთო სიცარიელე...

საქართველოს ეს ნაკრები იქნებ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიაში საუკეთესო ვერც და არც იყოს, მაგრამ **ვლადიმირ ვაისის** გუნდმა მოიგო მოსაგები თამაშები და ეს უკვე კარგია. ჩვენც და მათ შორის მეც ძალიან ხშირად მივტირით იმ ძველ 90-იანებს, მაგრამ ეს დალოცვილი ფეხბურთი მხოლოდ ესთეტიკა როდია. თურმე, რა ტკბილი ყოფილა შედეგი და თანაც ისეთი შედეგი, რომელიც მოაქვს სავსებით მისაღებ და ნორმალურ თამაშს.

რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო უკეთესი და მეტი გვინდა. რა თქმა უნდა, ყაზახეთი და ლატვია არ არიან საფეხბურთო გარდანქეშანები. რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების თამაშში ჯერ კიდევ იმაზე მეტი ნაკლია, ვიდრე ვისურვებდით, მაგრამ ფაქტია, რომ მოსაგები მოვიგეთ და ჯგუფში ისე ვიპირველეთ, იოტისოდენა კითხვის ნიშანი არ დაგვიტოვებია.

კი ბატონო, თუნდაც იმ 90-იანებში შემადგენლობა გაცილებით უკეთესი იყო და იმ გუნდს სრულიად განსაკუთრებული რამეების კეთება შეეძლო საფეხბურთო ამბავში, მაგრამ ის გუნდი ხალხთან მაინცდამაინც ახლოს ვერ მივიდა. გასაგებია, მაშინ ქვეყანაში დღევანდელზე გაცილებით მეტი პრობლემა იყო და თუნდაც სამწვრთნელო ამბავში შორს ვიყავით ევროპისგან, მაგრამ ის გუნდი მაინც დარჩა ეპიზოდების გუნდად, რომელმაც არაერთხელ წააგო პროცესი და გვატკინა გული...

როცა საქართველოს დღევანდელ ნაკრებზე საუბრისას მეტოქეებს ვიწუნებთ და ვამბობთ, რა გვიხარია და ვის ვუგებთო, გავიხსენოთ, რამდენჯერ ვერ მოგვიგია საშინაო მატჩები თუნდაც იმავე ლატვიისა და ყაზახეთისთვის. როდის ყოფილა საქართველოს ნაკრები ასე სტაბილური თუნდაც თავისი დონის და ცოტა უფრო დაბალი დონის გუნდებთან თამაშებში? - არასდროს! - ვისაც ეს განსაზღვრება ზედმეტად მოეჩვენება და ჰიპერბოლის სტატუსს მიაწებებს, ჩვენი ჯგუფის სატურნირო ცხრილს ჩახედოს.

კი ბატონო, საქართველოს ნაკრებს აქვს ბევრი პრობლემა, მაგრამ აქვს არაერთი ღირსება. ეს არის გუნდი ძალიან კარგი ცენტრალური მცველებითა და ფლანგებით, თავისი დიდებული კაპიტნით, რომელიც ამ გუნდის სულს, ჟინსა და მონდომებას გამოხატავს, და გიორგი ჩაკვეტაძით.

მე წამიკითხავს და გამიგია ძველი ქართველი ფეხბურთელების შესახებ, სახალხო ფეხბურთელებს რომ უწოდებდნენ. მერე, როცა ჩემმა თაობამ ფეხბურთის ყურება დაიწყო, იმ 90-იანებში ისე მოხდა, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ იქცა ასეთად. ამის საუკეთესო შანსი **თემურ ქეცბაიას** ჰქონდა, მაგრამ ალბათ ისიცაა, რომ თუ ხალხმა „შენზე" უნდა იაროს სტადიონზე, გუნდმაც უნდა შეგიწყოს ხელი.

დღეს ამის დიდებული, ხელიდან არგასაშვები შანსი აქვს სწორედ გიორგი ჩაკვეტაძეს. მისი ასაკიდან გამომდინარე, მეტის დაწერას მოვერიდები, მაგრამ რასაც ვხედავთ, ხომ უნდა დაიწეროს - ეს ხომ ცხადია და არა - სიზმარი?!

მრავალი, კიდევ მრავალი წლის განმავლობაში უნდა იყოს ჩაკვეტაძე საქართველოს ნაკრების ლიდერი. უნდა იყოს ისეთი ვარსკვლავი, რომელიც ამდენ ხანს ძალიან გვენატრებოდა - ჩუმი, უბრალო, მოკრძალებული და ხალხისთვის მოთამაშე.

ბოლო ჩვენი სინამდვილეები უარყოფენ ასეთი ვარსკვლავების არსებობას, თორემ გადმოცემით ვიცი, რომ ჩვენც გვყოლია ასეთი ვარსკვლავები და გადმოცემა რად მინდა, არაერთ მათგანთან მისაუბრია კიდეც ფორმალურ თუ არაფორმალურ გარემოში.

რეზერვიც არის. მე ასე მგონია: თუ გაგვიჭირდა, თუნდაც **ლუკა ზარანდიას** შეუძლია, **გიორგი აბურჯანიას** შეუძლია, **გიორგი არაბიძეს** შეუძლია, **ავთო ებრალიძეს** შეუძლია... და კიდევ იმ ბიჭებს, დღეს ტრავმირებულები რომ არიან - **თორნიკე ოქრიაშვილს, ჯანო ანანიძეს, ლევან მჭედლიძეს, გიორგი ქვილითაიას...** ნახევარი გუნდი ჩამოვთვალეთ. ესეც ხომ საქმეა?

...საქართველოს ნაკრებს კი ორი ნაბიჯი დარჩა ევროპის ჩემპიონატამდე, ხოლო ჩვენ - საფეხურთო ამბავში მაინც ვართ ერთიანები და ბედნიერები იმის გამო, რომ არსებობს რაღაც, რაც ძალიან ბევრ რამეზე მეტია ამ ცხოვრებაში - ფეხბურთი ჩვენი სიხარულისა!..

U 19. ევროშესარჩევი



ზურიკო დავითაშვილის გოლი მოსაგებად არ გვეყო

# ჯგუფში ჩავრჩით...

**საქართველო-ისრაელი 1:1**

20.11. თბილისი. მიხეილ მესხი

**1:0 დავითაშვილი (17. გულიაშვილის პასით), 1:1 კარზევი (42-პენ)**

საქართველო: **ბულისკერია, გაბიტაშვილი, გელაშვილი, ჯინჯოლავა, ხარაბაძე (59. აფრაძე), დარცმელია (82. ინჯგია), მექვაბიშვილი (82. გაბუნია), ივანიაძე (57. ბაბუნაძე), დავითაშვილი, გულიაშვილი, კვარაცხელია**

სათადარიგოები: **მამარდაშვილი, ბუილიშვილი, ფაცაცია, შეყილაძე, ნანობაშვილი,**

მწვრთნელი: **გიორგი მიქაძე**

გაძევება: **გლეზერი (69)**

საქართველოს ნაკრების მიერ ერთა ლიგაში მოწყობილი ზეიმის გაგრძელებას 19-წლამდელთა შესარჩევ ეტაპზეც ველოდით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. **გიორგი მიქაძის** გუნდმა შესარჩევი ეტაპი ბრწყინვალედ კი დაიწყო, მაგრამ ცუდად გააგრძელა და გულისმომკვლელად დაასრულა.

ჩვენს ნაკრებს ამ შეხვედრაში მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს და თამაში საჩვენოდაც დაიწყო: მე-17 წუთზე **ლევან ხარაბაძემ** მარჯვენა ფლანგზე შესანიშნავად ჩაუქროლა მცველს და საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც **გიორგი გულიაშვილმა** ვერ დაარტყა და ქუსლით უპასა **ზურიკო დავითაშვილს**, რომელმაც ანგარიში ახლო მანძილიდან გახსნა - 1:0.

თუმცა 42-ე წუთზე დარცმელიამ საჯარიმოში მეტოქე ფეხბურთელი წააქცია და არბიტრმა დანიშნა პენალტი, რომელიც უნაკლოდ შეასრულა **ედენ კარზევმა** - 1:1.

ჩვენებს 69-ე წუთიდან რიცხობრივი უპირატესობაც ჰქონდათ - **ხვიჩა კვარაცხელიას** წინააღმდეგ უხეშობისთვის **ამიტ გლეზერმა** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. მაგრამ ამით საქართველოს ნაკრებმა ვერ ისარგებლა და საბოლოოდ მატჩი 1:1 დასრულდა.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველო ჯგუფში ჩარჩა, რადგან ასპარეზობა 4 ქულით დაასრულა, ელიტრაუნდის საგზური კი ისრაელმა და აზერბაიჯანმა მოიპოვეს. ამ უკანასკნელმა პარალელურად მიმდინარე მატჩში ლიხტენშტაინს 3:0 სძლია.

საქართველოს ამ ფორმაციის ნაკრებს ძალიან კარგი მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ ზედმეტმა თავდაჯერებულობამ, აზერბაიჯანთან უაზრო შეცდომებმა და ინდივიდუალიზმით ზედმეტმა გატაცებამ ამ მართლაც ნიჭიერ თაობას პირველი სერიოზული ცივი შხაპი გადაასხა. დიდ ფეხბურთს სხვაგვარი მიდგომით თამაშობენ...

**მერაბ მამულაშვილი**

U 21

# ზავი კვიპროსთან

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა კვიპროსთან საგარეო ამხანაგურ მატჩში 1:1 ითამაშა. ჩვენი გუნდიდან ერთადერთი ბურთი **გიორგი არაბიძემ** გაიტანა 11-მეტრიანით, რომელიც **ბექა ქავთარაძემ** მოიპოვა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა ასევე პენალტით შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და თამაში ასეც დასრულდა. **გია ცეცაძემ** კვიპროსთან ასეთი შემადგენლობა ათამაშა:

**სანიკიძე, ბურჯანაძე, ლოჩოშვილი, კობოური, კერელეიშვილი, ლაკვეხელიანი, კუცია, არდაზიშვილი, არაბიძე, ქავთარაძე, ლეჟავა;** შეცვლაზე შევიდნენ: **ძებნიაური, არველაძე, სპანდერაშვილი.**

**ალეკო კაკაურიძე**

## დღეს

**ეროვნული ლიგა**

**XXXIV ტურის გადმოტანილი მატჩი**

**ჩიხურა-ტორპედო 14:00**

21.11. ივანწმინდა

ურთიერთშეხვედრები

21: +9 =5 -7, 25-22

I-II-III წრე: 1:0, 1:0, 0:1

დისკვალიფიკაცია: **დ. მეგრელიშვილი, კ. კახაბრიშვილი** (ორივე - ჩიხურა)

**შაბათი, 24 ნოემბერი**

**კოლხეთი-რუსთავი 14:00**

**დილა-სამტრედია 18:00**

**კვირა, 25 ნოემბერი**

**სიონი-ლოკომოტივი 14:00**

**ორშაბათი, 26 ნოემბერი**

**საბურთალო-დინამო (თბ) 19:00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 32 | 22 | 5 | 5 | 58:27 | 71 |
| 2. დინამო (თბ) | 32 | 19 | 6 | 7 | 64:32 | 63 |
| 3. ტორპედო | 32 | 17 | 8 | 7 | 57:25 | 59 |
| 4. ჩიხურა | 32 | 17 | 6 | 9 | 50:29 | 57 |
| 5. დილა | 32 | 14 | 11 | 7 | 51:39 | 53 |
| 6. ლოკომოტივი | 32 | 9 | 8 | 15 | 35:49 | 35 |
| 7. სიონი | 32 | 8 | 7 | 17 | 35:53 | 31 |
| 8. რუსთავი | 32 | 6 | 12 | 14 | 29:43 | 30 |
| 9. სამტრედია | 32 | 4 | 9 | 19 | 26:69 | 21 |
| 10. კოლხეთი* | 32 | 4 | 8 | 20 | 25:64 | 14 |

* - *კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გ. გაბედავა (ჩიხურა) | 20 |
| მ. კოვტალიუკი (დილა) | 17 |
| ბ. ზივზივაძე (დინამო) | 16 |
| ლ. რიბეირო (დილა) | 13 |
| თ. კაპანაძე (ტორპედო) | 13 |

## ეროვნული ლიგა 2

**XXXIII ტური**

**ოთხშაბათი, 21 ნოემბერი**

**ცხინვალი-გაგრა 14:00**

მცხეთა. მცხეთა პარკი

**ხუთშაბათი, 22 ნოემბერი**

**შუქურა-ვიტ ჯორჯია 14:00**

ქობულეთი. ჩელე არენა

**შევარდენი-თელავი 14:00**

თბილისი. დავით პეტრიაშვილი

**სამგურალი-მერანი 14:00**

ქუთაისი. რამაზ შენგელია. LIVE TV-აჭარაზე

**ნ/დინამო-დინამო (ბთ) 14:00**

თბილისი. შატილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (ბთ) | 32 | 20 | 7 | 5 | 51:18 | 67 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 32 | 15 | 11 | 6 | 37:22 | 56 |
| 3. გაგრა | 32 | 14 | 9 | 9 | 45:37 | 51 |
| 3. ნ. დინამო | 32 | 14 | 8 | 10 | 51:39 | 50 |
| 5. თელავი | 32 | 11 | 11 | 10 | 36:35 | 44 |
| 6. შევარდენი | 32 | 11 | 10 | 11 | 36:40 | 43 |
| 7. მერანი | 32 | 7 | 12 | 13 | 31:40 | 33 |
| 8. სამგურალი | 32 | 9 | 5 | 18 | 36:53 | 32 |
| 9. შუქურა | 32 | 8 | 8 | 16 | 44:54 | 32 |
| 10. ცხინვალი | 32 | 8 | 5 | 18 | 28:57 | 29 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჯ. ფლამარიონი (დინამო ბთ) | 22 |
| რ. ცაცკრიალაშვილი (გაგრა) | 16 |

## მილოცვა

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა გაერთიანება დაბადების 65 წლის საიუბილეო თარიღს საუკეთესო სურვილებით ულოცავს ვეტერან ფეხბურთელს (ქუთაისის „ტორპედო“, თბილისის „დინამო“, იუნიორთა საკავშირო ნაკრები), მწვრთნელს („ტორპედო“), ეროვნული კატეგორიის მსაჯს, სპორტის ოსტატს, ბრწყინვალე პიროვნებას **ვლადიმერ (ვოვა) შელიას.**

# ერთა ლიგაში ჩაკვეტაძე საუკეთესოა

« მე-3 გვერდიდან

**გადაცემების სიზუსტე**

| | |
|---|---|
| საქართველო | 84.1% |
| ყაზახეთი | 80.4% |
| ლატვია | 74.5% |
| ანდორა | 47.1% |

**გუნდური რეიტინგები**

| | |
|---|---|
| საქართველო | 7.00 |
| ყაზახეთი | 6.70 |
| ლატვია | 6.57 |
| ანდორა | 6.29 |

**წვლილი გოლებში**

| | | |
|---|---|---|
| გ. ჩაკვეტაძე | 4 | 33% |
| ჯ. კანკავა | 2 | 17% |
| ვ. ყაზაიშვილი | 2 | 17% |
| თ. ოქრიაშვილი | 1 | 8% |
| ვ. გვილია | 1 | 8% |
| გ. მერებაშვილი | 1 | 8% |

მართალია, ანდორელებმა - **მარტინესმა** და **ალიესმა** - თავიანთი ნაკრების გოლების 50 პროცენტი მიითვალეს, მაგრამ ჩაკვეტაძე მაინც პირველზეა, რადგან ანდორამ სულ 2 გოლი მიითვალა. ასევე მოხდა ლატვიელების - **რაკელისა** და **კარასიოვის** შემთხვევაში.

**საგოლე პასები**

| | | |
|---|---|---|
| ვ. ყაზაიშვილი | საქ | 2 |
| ბ. ისლამხანი | ყაზ | 2 |
| გ. ჩაკვეტაძე | საქ | 2 |
| ო. კაკაბაძე | საქ | 2 |
| ს. მუჟიკოვი | ყაზ | 1 |

### ნათელი წერტილი

დიდი გამოცნობა არ უნდა, რომ ყაზახებთან მატჩის საუკეთესო მოთამაშე გოლისა და საგოლე პასის ავტორი **გიორგი ჩაკვეტაძე** გახდა. 10-ბალიან სისტემაში 19 წლის ქართველს 8.7 ქულა დაუწერეს, რაც, ფაქტობრივად, იდეალური მაჩვენებელია. თუმცა, შეგახსენებთ, რომ იმავე პორტალმა ჩაკვეტაძეს ლატვიასთან რიგაში მოგებული (3:0) მატჩის შემდეგ 10-იანი დაუწერა.

whoscored.com-ის შეფასებით, ჩაკვეტაძე არა მხოლოდ ყაზახებთან შეხვედრაში იყო საუკეთესო, არამედ - ჯგუფურ ეტაპზეც. მისი საბოლოო შეფასება 8.2 გახლავთ.

გავიხსენოთ, რომ ჩაკვეტაძე ერთა ლიგის პირველი, ისტორიული გოლის ავტორიც გახდა და მოულოდნელად, საქართველოს ნაკრების ლიდერად იქცა. „ჯვაროსნების“ 12 გოლიდან 4 მის ანგარიშზეა, ოთხიც მისი უშუალო მონაწილეობით გავიდა, რაც დიდებული შედეგია.

**მოთამაშეთა რეიტინგები**

| | | |
|---|---|---|
| გ. ჩაკვეტაძე | საქ | 8.17 |
| გ. სუიუმბაევი | ყაზ | 7.83 |
| ჯ. კანკავა | საქ | 7.68 |
| ს. კვირკველია | საქ | 7.57 |
| ბ. ისლამხანი | ყაზ | 7.41 |

**მერაბ მამულაშვილი**

ერთა ლიგა

# წარმატებას ფულიც მოაქვს

საქართველოს ნაკრებმა D ლიგის I ჯგუფში გამარჯვებით საკმაოდ სოლიდური „მოსავალი“ მიიღო - საუკეთესო რეიტინგი (მე-40), C დივიზიონის საშვი, ევრო 2020-ის წილისყრაზე მე-4 კალათა და ერთა ლიგის ნახევარფინალის თბილისში მასპინძლობა.

ამას გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ D ლიგის საუკეთესო გუნდი დამატებითი შემოსავალსაც მიიღებს. ცნობილი იყო, რომ უეფამ ერთა ლიგის მონაწილეებს პრემიალური თანხები დაუწესა, 10 ოქტომბერს კი მისი ოდენობა გაზარდა, ხოლო სოლიდარობის ფონდიდან შემოსავლებმა ევროპის 55 ეროვნული ასოციაციისთვის 50%-ით მოიმატა.

ანუ, თუ თავიდან D ლიგის ჯგუფში გამარჯვებისთვის 500 ათასი ევრო იყო დაწესებული, ახლა 250 ათასი დაემატა და 750 ათასი გახდა.

უეფამ 10 ოქტომბერს ასევე გადაწყვიტა, რომ ჯგუფების გამარჯვებულების ბონუსები გაეზარდა და პირველ ადგილებზე გასულებს 750 ათასი ევრო კიდევ დაემატათ. ანუ ჯამში, საქართველოს ნაკრებმა უკვე გამოიმუშავა 1,5 მილიონი ევრო.

დივიზიონების ფინალურ ეტაპზე მონაწილეობისთვის სოლიდარობის ფონდის შემოსავლებს მხოლოდ A ლიგის ოთხი ჯგუფის გამარჯვებული მიიღებს. ისინი 2019 წლის ივნისში გასამართ ფინალურ ეტაპზე ერთა ლიგის გამარჯვებულს გამოავლენენ და საბოლოოდ, გამარჯვებულის ბიუჯეტი 10,5 მილიონი ევროთი შეივსება.

**მერაბ მამულაშვილი**

წიგნის თარო




საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისთვის (პრეზიდენტი **მიხეილ აბაიშვილი**) ფინანსური მხარდაჭერით, ბოლო წლებში შესამჩნევად მომრავლდა ჩვენში სპორტული ლიტერატურის ბეჭდური პროდუქცია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გამოცემები საფეხბურთო თემაზე.

გუშინ ეროვნულ ბიბლიოთეკაში სერიით - „ქართული ფეხბურთის საუკუნე“ - მეორე წიგნის („ოქროს ბიჭების თაობა“) პრეზენტაცია გაიმართა. „ოქროს ბიჭების თაობა“ მიხეილ აბაიშვილთან ერთად წარადგინა პროექტის ავტორმა და მთავარმა რედაქტორმა **გიორგი გორგოძემ**.

წიგში შესულია მ. კაკაბაძის, ნ. გუგუშვილის, ო. გაგუას, გ. აკოპოვის, ა. გოგელიას, ბ. ქორქიას, გ. ტორაძის, დ. ქლიბაძისა და სხვათა მიერ ქართულ პრესაში ადრე გამოქვეყნებული წერილები.

გამომსვლელებმა მაღალი შეფასება მისცეს ახალ კრებულს, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ასეთი გამოცემები სამარადჟამოდ შემოუნახავს თაობებს ქართული ფეხბურთისა და ფეხბურთელების ღვაწლსა და დამსახურებას.

**თენგიზ თომაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი



პოლ პოგბა

# პოლ პოგბას ქალბატონთან უნდა

**პოლ პოგბას** „იუვენტუსში" დაბრუნებაზე უჭირავს თვალი. უარზე არც „ბებერი ქალბატონი" დგას. ფაქტია, „იუვე" თავს უყრის იმ შემადგენლობას, რომელმაც კარგახნიანი პაუზის შემდეგ უნდა მოიგოს ჩემპიონთა ლიგა.

პოგბას უნდა „იუვენტუსი" და პირიქით. რა თქმა უნდა, კლუბის სურვილი გასაგებია. პოლი ისეთი ფეხბურთელია, რომ არც ერთი გრანდი მსოფლიოში მასზე უარს არ იტყვის. საფრანგეთის ნაკრები რუსული მუნდიალის გამარჯვებული რომაა, ამაში პოგბას დიდი წვლილიცაა. საფრანგეთმა ერთა ლიგაზე რამდენიმე დღის წინ ჰოლანდიასთან რომ წააგო (0:2), ეს ბევრმა სწორედ პოგბას არყოფნას დააბრალა.

რა უნდა პოგბას, ვინც თავის დროზე „იუვენტუსიდან" გადავიდა „მანჩესტერში"? მაშინ ფეხბურთელი ძალიან ბედნიერი იყო და ამბობდა, რომ სახლში დაბრუნდა. რა შეიცვალა მას შემდეგ?

როგორც ირკვევა, 25 წლის ფეხბურთელი სისტემატურად ჩივის ახლობელ-მეგობრებში, რომ ვერა და ვერ ეწყობა **ჟოზე მოურინიოს** - პორტუგალიელ მწვრთნელს, ვისაც, ბევრის აზრით, იმიტომ არ უყვარს გუნდში ვარსკვლავები, რომ თავად უნდა იყოს ნომერი პირველი ვარსკვლავი ყველგან და ყოველთვის.

პოგბას მიაჩნია, რომ „იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი სპეციალურად ათამაშებს მას შედარებით უკნიდან, რომ მისმა როლმა შეტევაში მნიშვნელოვნად მოიკლოს. მოგეხსენებათ, როგორცაა: თვალი ჭამს და თვალი სვამს. გულშემატკივარი, თუ ის ფეხბურთის ნიუანსებში ღრმად არ არის ჩახედული, უფრო იმას ამჩნევს, ვის გააქვს გოლი და ვინ აკეთებს პასს.

სხვანაირად რომ ვთქვათ, პოგბა გაბრაზებულია იმის გამო, რომ მოურინიომ მას „მუშა ფეხბურთელად" გადაქცევა დაუპირა, რომლის მთავარი მოვალეობაც მოწინააღმდეგის შეტევების ჩაშლაა და მან მხოლოდ მაშინ უნდა შეუტიოს მეტოქის კარს, როცა სხვა გამოსავალი აღარ რჩება.

კაცმა რომ თქვას, მოურინიო მართლაც არის მიდრეკილი ასეთი ფეხბურთისადმი. სხვა თუ არაფერი, ჩვენი ამ სიტყვების დასტურად **ნემანია მატიჩისადმი** ფანტასტიკური სიყვარული და მის მიმართ წარმოთქმული დითირამბები გამოდგება, მაგრამ არც პოგბა ჩანს ისეთი კაცი, იოლად დანებდეს...

მოკლედ, ზამთარი და ხვალეო. იანვარში საინტერესო ამბებია მოსალოდნელი...

**ალეკო კაკაურიძე**

ერთა ლიგა




# რონალდ კუმანი: თითქმის შეუძლებელი შევძელით!..

ჰოლანდიამ თითქმის წაგებული თამაში ბოლო ექვს წუთში შემოუტრიალა (2:2) გერმანიას და ერთა ლიგის პლეი ოფში გავიდა. **ტიმო ვერნერისა** და **ლეროი სანეს** გოლების წყალობით გერმანელები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ თამაშის ბოლოს „ნარინჯისფრებმა" **კვინსი პრომესისა** და **ვირჯილ ვან დეიკის** გოლებით გაათანაბრეს ანგარიში.

*„ჩვენ პრაქტიკულად შეუძლებელი შევძელით. ყველა დამეთანხმება, რომ შეხვედრის დიდი ნაწილის განმავლობაში ვერ გამოვიყურებოდით ისე, როგორც ეს საჭირო იყო, მაგრამ დასკვნითი 10 წუთი შესანიშნავად ჩავატარეთ და მონდომებამ შედეგი გამოიღო...*

*...დღეს ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს და ეს დაგვიფასდა. ავიღოთ თუნდაც მემფის დეპაი. მან თამაში ნატკენი ფეხით ჩაამთავრა. შესანიშნავი საღამო გამოვიდა", - აღნიშნა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჰოლანდიელთა თავკაცმა* ***რონალდ კუმანმა***.

„დაცვაში დავუშვით შეცდომები. ასეთი შედეგი მოსდევს ხოლმე კონცენტრაციის დაკარგვას. ჩვენ მთელი შეხვედრის განმავლობაში უკეთესები ვიყავით მეტოქეზე. ეს უნდა იყოს მესიჯი ჩემი ფეხბურთელებისადმი, რომ თამაში 90 წუთი გრძელდება. ჩვენ ამას ხშირად ვამბობთ, მაგრამ როგორც ჩანს, სულ ვერ ვიმახსოვრებთ", - ეს უკვე გერმანელთა თავკაცის **იოახიმ ლიოვის** სიტყვებია.

**ალეკო კაკაურიძე**

ამბები

## ფაბრეგასი მილანს უახლოვდება

**სესკ ფაბრეგასი** ახლოსაა „მილანში" გადასვლასთან. 31 წლის ესპანელ ვარსკვლავს ბოლო დროს „ჩელსიში" იმდენი სათამაშო დრო არ ეძლევა, რამდენიც თავად სურს. მილანელები უკვე დაუკავშირდნენ ფეხბურთელის წარმომადგენლებს. მისი გადაბირებით ასევე არიან დაინტერესებულები „ინტერი" და „გალათასარაი", მაგრამ ფავორიტი „მილანია". ფაბრეგასის ხელფასი კვირაში 200 ათას ფუნტს შეადგენს და ის ამ მაჩვენებლით „ჩელსის" ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა.

## კულიბალის იუნაიტედში არ უშვებენ

„ნაპოლის" ხელმძღვანელობამ სენეგალელი მცველი **კალიდუ კულიბალი** „მანჩესტერ იუნაიტედში" არ გაუშვა. არადა, ინგლისური გრანდი მზად იყო, ფეხბურთელის სანაცვლოდ 80 მილიონი ფუნტი გადაეხადა. ტრანსფერის წინააღმდეგი „ნაპოლის" პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისია**. ის მიიჩნევს, რომ 27 წლის ფეხბურთელი როგორც მინიმუმ, 89 მილიონ ევროდ უნდა გაიყიდოს. კულიბალის გადაბირება „ბარსელონას", „რეალს", „ბაიერნს" და „მანჩესტერ სიტისაც" სურთ.

## იბორა შინ ბრუნდება

„სევილიას" ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე სურს ცენტრალური ნახევარმცველის, **ვისენტე იბორას** დაბრუნება. საქმე ისაა, რომ 30 წლის ფეხბურთელმა „ლესტერში" ბოლომდე ვერ იპოვა საკუთარი თავი. გარდა ამისა, ტრავმირებულია სევილიური კლუბის ფრანგი საყრდენი ნახევარმცველი **მაქსიმ გონალონი**. „სევილიას" ხელმძღვანელობის ჩანაფიქრით, იბორამ გუნდი სწორედ საყრდენ პოზიციაზე უნდა გააძლიეროს.

## ბარსა და ლივერპული იოვიჩისთვის იბრძოლებენ

„ბარსელონა" და „ლივერპული" ზამთარში **ლუკა იოვიჩისათვის** იბრძოლებენ. 20 წლის შემტევი კონტრაქტით „ბენფიკას" საკუთრებაა და იჯარით ფრანკფურტის „აინტრახტში" თამაშობს, სადაც შესანიშნავი სეზონი აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს სერბი ახალგაზრდა ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშების ბომბარდირია (9 გოლი 9 მატჩში) და ორივე გრანდის ხელმძღვანელობამ უკვე მიავლინა სელექციონერები მისი თამაშის სანახავად. ვნახოთ, რა შედეგი მოჰყვება ამ ვოიაჟს.

## იუვენტუსს რაშფორდი მოუნდა

„იუვენტუსმა" მიზანში ამოიღო „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი **მარკუს რაშფორდი**. ის ახლა 21 წლისაა და ინგლისურ კლუბთან კონტრაქტი 2020 წლამდე აკავშირებს. თანაც, „წითელ ეშმაკებს" ამ ხელშეკრულების გახანგრძლივების უპირატესი უფლება აქვთ. თავად რაშფორდი წესით ტურინში გადაბარგების წინააღმდეგი არ უნდა იყოს, რადგან „იუნაიტედში" ის ხან არის ძირითად შემადგენლობაში და ხან - არა.

**ალეკო კაკაურიძე**

საფეხბურთო კულუარებში




# ინფანტინო მ
# ყი
# ამაში დარწმუნებ

**ფიფას პრეზიდენტ ჯანი ინფანტინოს კიდევ ერთი მძლავრი დარტყმა მიაყენეს. ამჯერად, მის შესახებ მასალები გამოაქვეყნეს Suddeutsche Zeitung-მა და WDR-მა.**

## ჯანი და სკანდალები

ბოლო დროს, შვეიცარიელი **ჯანი ინფანტინოს** სახელი ხშირად ჩნდება დასავლურ მედიაში და უმეტეს შემთხვევაში, ამის მიზეზი სკანდალებია. მას მკაცრად აკრიტიკებდნენ მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვის სავარაუდო გაზრდის გამო. მის წინააღმდეგ მრავლად გამოვიდნენ ოპონენტები, რომლებმაც გააცამტვერეს იდეა ორი ახალი ტურნირის ორგანიზებაზე. ეს ტურნირებია: მსოფლიოს ერთა ლიგა და 24-გუნდიანი საკლუბო ტურნირი, ერთგვარი სუპერლიგა, რომელმაც უნდა შეცვალოს საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატი. ამ პროექტების ფინანსური დეტალების განხილვისას, ის დაადანაშაულეს ზედმეტ ჩაკეტილობასა და შეთქმულებებში.

Football Leaks-ის მიერ გამოგდებული დოკუმენტების შემდეგ, ამ ყველაფერს დაემატა ძველი პრობლემები და საქმეები, რომლებში გარკვევასაც ინფანტინო მაშინ ცდილობდა, როცა უეფას გენერალური მდივანი იყო - ფინანსური ფეარ პლეი და მისი დაცვა (ან პირიქით, დარღვევა) ინგლისური „მანჩესტერ სიტისას" და ფრანგული „პარი სენ-ჟერმენისგან". თითქოს ჯანიმ ბევრი იცოდა, მაგრამ მაინც მშვიდად ეძინა, რადგან პოულობდა კომპრომისს ორივე კლუბის არაბ მფლობელებთან, მათ ბევრის უფლებას აძლევდა, მაგრამ, ამასთან, მოხერხებულად იცილებდა სასჯელს.



პარი სენ-ჟერმენის პრეზიდენტი ალ ხელაიფი


ჯანი ინფანტინო

# ...სოფლიო ფეხბურთის ...დის ...ულია გერმანული პრესა


მანჩესტერ სიტის მფლობელი შეიხ მანსური

## ფიფას პრეზიდენტის არჩევნები

მაინც რა ხდება? საიდან ასეთი ძლიერი შეტევები ჩინოვნიკის მისამართით?

მიზეზი რამდენიმეა. და ერთ-ერთი აშკარა მიზეზია - ფიფას პრეზიდენტის არჩევნები.

2018 წლის 10 ივნისს, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ, წესის თანახმად, გამოაცხადა წინასაარჩევნო პერიოდზე. ამის შესახებ, მან 11 ივნისს წერილით აცნობა ყველა წევრსა და კონფედერაციას.

13 ივნისს დაიწყო თავად წინასაარჩევნო პერიოდი. 2019 წლის 5 თებერვლისთვის, ციურიხში უნდა ჰქონდეთ პრეტენდენტების შესახებ ყველა განაცხადი. 5 მაისს ცნობილი გახდება მათი სახელები, რომლებიც დამტკიცდებიან ფიფას პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატებად.

ბოლოს და ბოლოს, მომავალი წლის 5 ივნისს, გაიმართება არჩევნები. ეს მოხდება პარიზში, ფიფას რიგით 69-ე კონგრესზე.

რა თქმა უნდა, ბევრია ისეთი, ვისაც არ მოსწონს, რასაც ინფანტინო აკეთებს ფიფაში და მთლიანად ფეხბურთში. მაგრამ არსად გამქრალა ბრძოლა ხელისუფლებისა და ფულისთვის. ხოლო რა ფული ტრიალებს მსოფლიოს ფეხბურთში, ეს კარგად არის ცნობილი. მარტო 25-მილიარდიანი პროექტი რად ღირს, რომლის გატანას აპირებს ინფანტინო.

სხვათა შორის, შესაძლოა, ეს იყოს ჩინოვნიკის გარშემო მომხდარის მიზეზი. პროექტს ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. და თუ ჯანი მათ არ დაუჯერებს, სავსებით შესაძლებელია მის მიმართ პრესაში კომპრომატი ან რაღაც მსგავსი გაუშვან.

## 25 მილიარდი დოლარი

დავუბრუნდეთ გერმანულ პრესას. Suddeutsche Zeitung-სა და WDR-ის მონაცემებით, 25 მილიარდი დოლარის ნაცვლად, რომელიც 12 წლის განმავლობაში გამოიყოფა ორი პროექტის (მსოფლიოს ერთა ლიგა და სუპერლიგა) განვითარებისთვის, ინვესტორები მიიღებენ... ყველაფერს, რაც დღეს ფიფას ეკუთვნის. უფლებები ყველა ფილმზე (ციფრული და საარქივო), ვიდეომასალებსა და კომპიუტერულ თამაშებზე, ნებისმიერ ტრანსლაციაზე (კომერციული და საიმიჯო). და უფლებას მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

მოკლედ, თუ გერმანელებს დავუჯერებთ, ინფატინო მზად არის გაყიდოს... მთელი მსოფლიო ფეხბურთი. 25 მილიარდ დოლარად. და არ არის ცნობილი, ვის უნდა მიჰყიდოს ეს ყველაფერი.

თავად შვეიცარიელმა, რომელიც ამ შეთავაზებებს არეკლამებს, უკვე არაერთხელ თქვა, რომ ფული გამოიყოფა მხოლოდ ორი ახალი ტურნირის ორგანიზების სანაცვლოდ. და გვაფრთხილებს, რომ არ შეუძლია პოტენციურ დამფინანსებელთა სახელების ჩამოთვლა, რადგან ხელი მოაწერა რაღაც დოკუმენტს ამგვარი მონაცემების გაუთქმელობის შესახებ,

ბუნებრივია, ფიფას პრეზიდენტის ასეთმა პოზიციამ ვერ იპოვა მხარდაჭერა და გაგება ფიფას საბჭოს ბევრ წევრს შორის. ინფანტინოს წინააღმდეგ მკაცრად გამოვიდა ევროპა (უეფა). ვნებები ძალიან დაიძაბა - იქამდეც კი, რომ დაიწყო ლაპარაკი ურთიერთობათა გაწყვეტაზე და მსოფლიო ფეხბურთის მართვის იმ სტრუქტურის რღვევაზე, რომელიც დღეს არსებობს.

მაგრამ, ჯანი არ წავიდა ღია კონფლიქტზე. ჯერჯერობით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც სწავლობს ორ ნახსენებ პროექტს და არაფერი მეტი.

ინვესტორების შესახებ კი მხოლოდ ჭორებია - მდიდარი არაბები და მათთან დაკავშირებული იაპონური ბანკი.

თუ გერმანელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, რომელთა ხელში აღმოჩნდა რაღაც კონფიდენციალური დოკუმენტები, ფიფას საბჭო რომ დათანხმებულიყო მის პრეზიდენტს, ეს „მყიდველები“ ფინანსურ მმართველობაში მიიღებდნენ მთელ ფეხბურთს. თავად ფიფა კი „არაფერი“ გახდებოდა - ორგანიზაცია კომერციული უფლებების გარეშე. სხვათა შორის, უფლებები გადაეცემოდა ხელმეორედ შექმნილ კონსორციუმს, რომლის სათავეში იდგებოდა... თავად ინფანტინო, როგორც დამკვირვებელი საბჭოს თავმჯდომარე.

ჟურნალისტებს გააჩნიათ ფიფას ორი ყოფილი მაღალჩინოსანი იურისტის - **მარკო ფილიგერისა** და **იორგ ფოლმიულერის** ანგარიშები. ისინი სწავლობდნენ 25-მილიარდიანი წინადადების რისკებს და სუსტ მხარეებს და გასცეს ნეგატიური დასკვნა. შემდეგ კი დატოვეს (ან დაატოვებინეს) ფიფა.

საინტერესოა, კიდევ რა ამბებს გავიგებთ ინფანტინოზე უახლოესი თვეების განმავლობაში...

**გიორგი თვალია**


ალექსანდერ ჩეფერინი და ანდრეა ანიელი

# გაიმართა თუ არა საიდუმლო მოლაპარაკებები სუპერლიგის შექმნაზე?

უეფას პრეზიდენტმა **ალექსანდერ ჩეფერინმა** და „იუვენტუსის“ პრეზიდენტმა **ანდრეა ანიელიმ**, რომელიც ამავდროულად ევროპის კლუბების ასოციაციას (200-ზე მეტ კლუბს აერთიანებს) ხელმძღვანელობს, ევროპის სუპერლიგის პროექტზე ილაპარაკეს. უფრო სწორად, უარყვეს იმ „პროექტის“ არსებობა, რომელმაც Football leaks-ის მასალებში გაიჟღერა - თითქოსდა, საიდუმლო მოლაპარაკებისას გადაწდა უახლოეს პერიოდში ევროპის სუპერლიგის დაარსება, რომელიც ჩააჩოჩებს როგორც ჩემპიონთა ლიგას, ასევე სანაკრებო ფეხბურთს. თუმცა ამ უკანასკნელს ხშირ შემთხვევაში ისედაც უწევს „ამას ქვეყნის ძლიერთა“ კაპრიზების გათვალისწინება.

*„სუპერლიგა არ იქნება! ეს არ მოხდება, - თქვა ჩეფერინმა, - ეს არის ფიქცია ან ვიღაცის ოცნება“.*

კომენტარი გააკეთა „იუვენტუსის“ პრეზიდენტმაც. ანიელიმ სუპერლიგის თაობაზე ყველანაირი მოლაპარაკება კატეგორიულად უარყო:

*„შემიძლია სრული პასუხისმგებლობით დაგიდასტუროთ, რომ არასოდეს არავისთან განმიხილავს არანაირი დოკუმენტი სუპერლიგის თაობაზე. პირიქით, ჩვენ მჭიდრო კონტაქტი გვაქვს უეფასთან და ვცდილობთ, ერთად ვიაროთ ფეხბურთის პროგრესის გზაზე“.*

ჩეფერინმა დასძინა: *„ჩვენ გვაქვს რაღაც იდეები, რომელიც გარკვეულ ცვლილებებს შეეხება, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ - არანაირი სუპერლიგა არ დგას განსახილველ საკითხებს შორის. დღეს ყველა კლუბს აქვს იმის საშუალება, რომ ევროპულ ტურნირებში და დაამტკიცოს თავისი შესაძლებლობები სამართლიან თამაშში“.*

**ალეკო კაკაურიძე**

## ამბები



### ჩიჩარიტო თურქეთში მიდის

**ხავიერ ერნანდესს (ჩიჩარიტო)** კლუბის შეცვლა სურს. 30 წლის მექსიკელი ფორვარდი თავის დროზე „მანჩესტერ იუნაიტედში“ ჩაუქრობდა, ახლა კი „ვესტ ჰემშია“, სადაც სათამაშო დრო არ ჰყოფნის. ჩიჩარიტოს მდგომარეობა მას შემდეგ გაუარესდა, რაც „ჩაქუჩებში“ **მარკო არნაუტოვიჩი** მივიდა. **მანუელ პელეგრინისთვის** სადღეისოდ სწორედ ავსტრიელია ნომერი პირველი ფორვარდი.

იანვარში „ბეშიქთაშის“ პრეზიდენტი **ფიკრეტ ორმანი** სპეციალურად ჩავა ლონდონში, სადაც შეეცდება, ეს ტრანსფერი საბოლოოდ მოაგვაროს. „ბეშიქთაში“ ეძებს **ჩენკ თოსუნის** შემცვლელს, ვინც თავის დროზე „ევერტონში“ წავიდა.

### ვერმალენი ინგლისისკენ იყურება

**თომას ვერმალენი** ზამთარში ინგლისურ პრემიერლიგაში დაბრუნებას აპირებს. ეს ლიგა მისთვის ახლობელია, რადგან წლების განმავლობაში წარმატებით იცავდა „არსენალის“ ღირსებას და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლებოდა. ვერმალენის შეძენას ან იჯარით აყვანას „უოტფორდი“ და „საუთჰემპტონი“ აპირებენ. 33 წლის მცველმა „ბარსელონაში“ ფეხი გამუდმებული ტრავმების გამო ვერ მოიკიდა. ის ამჟამადაც დაშავებულია.

### კინს ჰოლანდიაში ანათხოვრებენ

„იუვენტუსის“ 19 წლის ტალანტი **მოიზეს კინი**, ვისაც უკვე აქვს სერია A-ში თამაშის გამოცდილება, ძალიან ახლოსაა ჰოლანდიურ „ზვოლეში“ გადაბარგებასთან. იანვარში იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი სწორედ ამ კლუბს მიაშურებს. გარიგების ინიციატორი გახლავთ ფეხბურთელის აგენტი **მინო რაიოლა**. მისი თქმით, კინს სჭირდება ისეთი კლუბი, სადაც სისტემატურად ითამაშებს.

**ალეკო კაკაურიძე**

სუმო. კიუშუს ბაშო. 11-25 ნოემბერი

# სამი მოგებაც...

გუშინ წლის უკანასკნელ სუპერტურნირზე, კიუშუს ბაშოზე ორი მესამედი მიილია, დასავლეთის ოძეკის, **ტოჩინოშინის (ლევან გორგაძე)** მიზანი მხოლოდ დადებითი ბალანსია. მე-10 დღეს ქართველი სუმოისტი მონღოლ სეკივაკე **იჩინოჯოს** შეხვდა, რომელიც ყველაზე მძიმე სეკიტორია. ქართველმა სუმოისტმა იორიკირის ილეთით გაიმარჯვა და ბალანსი გაუწულდა - 5-5. დღეს ტოჩინოშინის მეტოქე მე-5 მაეგაშირა **ჩიოტაირიუა**. ამ სუმოისტთან ტოჩინოშინს დადებითი ბალანსი აქვს - 5:2.

**ტოჩინოშინი:** *„მოხარული ვარ, რომ დღეს ერთი ორთაბრძოლა მოვიგე. სხვა გზა არაა, მთელი ძალისხმევით უნდა შევძლო დარჩენილი ხუთი ორთაბრძოლიდან სამის მოგება“.*

**გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** მაკუშიტას დივიზიონის პირველი ნომერია. მას 3-2 ბალანსი აქვს და ერთი მოგება აშორებს დადებით ბალანსს, ის ამჯერად, ისვენებდა. დღეს გაგამარუ ერთი დღით ჯურიოს დივიზიონში იჭიდავებს (მეორედ ამ ტურნირზე). მისი მეტოქე ჯურიოს მე-13 ნომერი **გოკუშინდო** იქნება.

**X დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): გოეიდო-ასანოიამა (უვატენაგე), ტაკაიასუ-ჩიოტაირიუ (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-იჩინოჯო (იორიკირი), შოდაი-მიტაკეუმი (ოშიდაში), ტამავაშიკაისეი (ოშიდაში), ტაკაკეიშო-ჰოკუტოფუჯი (ოშიდაში), ნიშიკიგი-მიოგირიუ (კოტენაგე).

**სატურნირო მდგომარეობა**

**9-1**: ტაკაკეიშო (კომუსუბი)

**8-2**: ტაკაიასუ (ოძეკი), დაიეიშო (მაეგაშირა 9), აოიამა (მაეგაშირა 12), ონოშო (მაეგაშირა 13)... **5-5**: ტოჩინოშინი (ოძეკი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ტოჩინოშინი-იჩინოჯოს წინააღმდეგ

რაგბი. აღიარება


ბექა გორგაძე

# გორგაძე ისევ სიმბოლურშია

საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „ბორდოს“ მესამეხაზელი **ბექა გორგაძე**, ზედიზედ მეორე კვირაა ნოემბრის ტესტების სიმბოლურ ნაკრებში ხვდება.

ამჯერად, გორგაძე სიმბოლურ გუნდში SkySports-მა შეიყვანა. აი, რას წერს მასზე ეს პოპულარული გამოცემა.

„შესაძლოა, ქართველებმა ფლორენციაში უმნიშვნელოვანესი შეხვედრა დათმეს, მაგრამ შინ სამოელთა დამარცხება მოახერხეს - 27:19. ბექა გორგაძე ჩვენს გუნდში „ბორჯღალოსნების“ წარმატებული თამაშის შედეგად მოხვდა.

ღონიერი, 22 წლის მორაგბე მძლავრი ქართული შერკინების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ქართველებმა გამარჯვება 16-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრის შემდეგ მოახერხეს. გორგაძე ოთხ მეტოქეს გასცდა, ბურთი 2-ჯერ წაიღო წინ, ცხრა ბოჭვა შეასრულა და სამოელებს ბურთი ერთხელ აართვა.“

**სიმბოლური ნაკრები**

1. კიან ჰილი (ირლანდია), 2. ჟილემ ჟირადო (საფრანგეთი), 3. ტად ფურლოგი (ირლანდია), 4. დევინ ტონერი (ირლანდია), 5. ჯეიმს რაიანი (ირლანდია), 6. მაიკლ ლიჩი (იაპონია), 7. პიტერ ომაჰონი (ირლანდია), 8. ბექა გორგაძე (საქართველო), 9. ტომას ვილიამსი (უელსი), 10. ანდრე პოლარდი (სამხრეთ აფრიკა), 11. ჯეიკობ სტოკდეილი (ირლანდია), 12. რიოტო ნაკამურა (იაპონია), 13. ჰიუ ჯონსი (შოტლანდია), 14. კენკი ფუკუოკა (იაპონია), 15. რობ კარნი (ირლანდია)

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. ნოემბრის ტესტები

# მეკო და კოკი დაბრუნდნენ

**საქართველოს ნაკრები ნოემბრის ტესტების ბოლო მატჩისთვის მზადებას განაგრძობს. „ბორჯღალოსნები“ „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გაფართოებული შემადგენლობით შეიკრიბა.**

ჩვენი ნაკრების ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** ამჯერად გუნდს სამი მორაგბე დაამატა. ამათგან ორი გამოცდილია. **მერაბ კვირიკაშვილი** და **გიორგი თხილაიშვილი** დაშავებულები იყვნენ, რის გამოც განვლილი შეხვედრები გამოტოვეს. ამჯერად, ისინი მწყობრში არიან და გუნდთან ერთად ვარჯიშობენ.

მესამე მორაგბე „ლელოს“ აღზრდილი მესამეხაზელი **ბექა საღინაძეა**, ის დებიუტანტია. „ბორჯღალოსნების“ საწვრთნელ შეკრებაზე საღინაძე ადრეც ყოფილა, მაგრამ ეროვნული ნაკრების კვართით ჯერ არ უთამაშია. მან ზედიზედ ორ მსოფლიოო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატში ითამაშა და გულშემატკივარს თავი დაამახსოვრა. საღინაძე ამჟამად საფრანგეთის ელიტური, მეორე დივიზიონის „ორიაკის“ მორაგბეა.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებს“ ტონგას ნაკრების წინააღმდეგ ექვსჯერ უთამაშია და დადებითი ბალანსი აქვთ. ჩვენმა გუნდმა 4 მატჩი მოიგო და ორში დამარცხდა.

საქართველოსა და ტონგას ნაკრების მატჩი შაბათს, ვაკეში 18 საათზე დაიწყება.

**საქართველოს ნაკრები**

**პირველი ხაზი:** მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ზურაბ ჟვანია (ვოსფსი), გურამ გოგიჩაშვილი (რასინგი), ჯაბა ბრეგვაძე (სანვულვზი), შალვა მამუკაშვილი (ენისეი), ბადრი ალხაზაშვილი (ტულონი), ლევან ჩილაჩავა (მონპელიე), დავით ქუბრიაშვილი (გრენობლი), ბექა გიგაშვილი (გრენობლი)

**მეორე ხაზი:** ნოდარ ჭეიშვილი (კორნიშ პირატუსი), ლაშა ლომიძე (ორიაკი), გრიგორ ქერდიყოშვილი (ლელო)

**მესამე ხაზი:** შალვა სუთიაშვილი (ანგულემი), ოთარ გიორგაძე (ბრივი), გიორგი ცუცქირიძე (ორიაკი), ბექა გორგაძე (ბორდო), ბექა ბიწაძე (ნარბონი), საბა შუბითიძე (ბათუმი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), ბექა საღინაძე (ორიაკი)

**№9**: ვასილ ლობჟანიძე (ბრივი), გიორგი ბეგაძე (ლოკომოტივი), გელა აფრასიძე (მონპელიე)

**№10**: ლაშა ხმალაძე (ბათუმი), თედო აბჟანდაძე (აია)

**№12-13**: მერაბ შარიქაძე (ორიაკი), გიორგი კვესელაძე (არმაზი), თამაზ მჭედლიძე (აჟენი), ლაშა მალაღურაძე (კრასნი იარი), ზურაბ ძნელაძე (ლოკომოტივი).

**№11-14**: გიორგი კოშაძე (ხარები), გიორგი აფციაური (ლოკომოტივი), ალექსანდრე თოდუა (ბათუმი), ანზორ სიჭინავა (ბათუმი)

**№15**: სოსო მათიაშვილი (ლელო), მერაბ კვირიკაშვილი (ლელო)

**ბესიკ ჯანგავაძე**


საქართველო-ტონგა, 2018 წელი, სუვა

ცურვა

# სეზონის დებიუტი 22 მედლით

ბაქოში დამთავრდა მოცურავეთა აზერბაიჯანის ღია ჩემპიონატი, რომელშიც მასპინძლებსა და ყაზახებთან ერთად საქართველოს 21 წარმომადგენელი მონაწილეობდა - ისინი შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად თბილისისა და რუსთავის მერიებმა დააფინანსეს. ჩვენმა გოგონებმა და ვაჟებმა 10 ოქროს, 6 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გოგონებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს ნაკრების წევრმა, 17 წლის თბილისელმა **მარიამ იმნაძემ,** რომელიც ზედიზედ სამჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მარიამმა უმაღლესი სინჯის ჯილდოები თავისუფალი ყაიდით 50 (27.87), 100 (1:01.24) და 400 მეტრზე (4:47.25) ცურვაში მოიპოვა.


მარცხნიდან მეორე მარიამ იმნაძე

თანაგუნდელს კარგად აუბა მხარი რუსთაველმა **რუსუდან გოგინაშვილმა,** რომელმაც ბრასით 50 (35.86) და 100 (1:17.70) მეტრზე ცურვაში პირველი ადგილები დაიკავა, ხოლო გულაღმა 50 მეტრზე (33.32) ცურვაში მეორე იყო. თბილისელმა **თინათინ კევლიშვილმა** ყველას აჯობა თავისუფალი ყაიდით 800 მეტრზე (9:48.45), ხოლო 200 მეტრზე გულაღმა ცურვასა (2:39.32) და ბატერფლაით (2:47.01) მესამე ადგილზე გავიდა. საგულისხმოა, რომ იმნაძე და კევლიშვილი დეკემბრის მეორე დეკადაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ და ბაქოს სტარტები მათთვის ძალთა შესამოწმებლად სასარგებლო აღმოჩნდა.

აზერბაიჯანის დედაქალაქში ორი ვერცხლის მედალი დაიმსახურა თბილისელმა **მარიამ რუხაძემ** - იგი მეორე იყო 200 მეტრზე თავისუფალი ყაიდითა (2:25.97) და ბატერფლაით (2:41.73) ცურვაში. რუსთაველი **თამარ მეგრელიძე** ბატერფლაით 100 მეტრზე (1:14.09) მესამე ადგილს დასჯერდა.

სამაგიეროდ, ვაჟებში თამარის თანაქალაქელმა **აკაკი ვაშაკიძემ** იყოჩაღა - თავისუფალი ყაიდით 200 (2:00.15) და 400 მეტრზე (4:15.53) პირველი, ხოლო 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1:02.16) მეორე იყო. ორი ოქროს (50 მ. ბატერფლაი - 25.19 და 100 მ. თავისუფალი ყაიდა - 53.45) და ამდენივე ვერცხლის (50 მ. თავისუფალი ყაიდა - 24.76 და 100 მ. ბატერფლაი - 57.15) მედალი მოიპოვა **თეიმურაზ კობახიძემ** (თბილისი). დედაქალაქელები - **ალექსანდრე ლომიძე** (50 (25.17) და 100 მ (54.93) თავისუფალი ყაიდით) და **ლუკა კუხალაშვილი** (200 მ (2:02.46) თავისუფალი ყაიდით) ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ.

- აზერბაიჯანის ღია ჩემპიონატი ქართველი მოცურავეებისთვის დაძაბული სეზონის წინ კარგი მოთელვა იყო, - გვითხრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი აბზიანიძემ.** - შეჯიბრებაში სხვებთან ერთად ეროვნული, ახალგაზრდული და კადეტთა ნაკრები გუნდების 2-2 წევრიც მონაწილეობდა, რომლებმაც დავალებას კარგად გაართვეს თავი. 11-17 დეკემბერს ჩინეთი მოკლე წყალზე (25-მეტრიან აუზში) მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. იქ ოთხი ქართველი გამოვა - გიორგი ბიგანიშვილი, ირაკლი რევიშვილი, მარიამ იმნაძე და თინათინ კევლიშვილი. ბიგანიშვილი და იმნაძე თავისუფალი ყაიდით 50 და 100, ხოლო რევიშვილი და კევლიშვილი 200 და 400 მეტრზე მოსინჯავენ ძალებს. ირაკლი დუბაის ერთ-ერთი კლუბის წევრია და იქ ემზადება მსოფლიოსთვის. ჩვენს გუნდს ჩინეთში საამიროებიდან შეუერთდება. დანარჩენები კი ჩემპიონატისთვის „ბათუმი პლაზას აუზში გაივლიან საწვრთნელ შეკრებას.

**- სხვა შეჯიბრებებზე რას იტყვით?**

- პირველ-ორ დეკემბერს კადეტთა საქართველოს ღია პირველობას გავმართავთ. ამ შეჯიბრებაში 2003-2005 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები იბრძოლებენ მედლებისთვის აზერბაიჯანელ თანატოლებთან ერთად. ეს ის ასაკია, რომლის წარმომადგენლებიც გაისად ბაქოში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში გამოვლენ და ამ მნიშვნელოვანი ფორუმისთვის აქედანვე ინტენსიურად ვემზადებით. დეკემბრის პირველ დეკადაში მოკლე წყალზე საქართველოს ზამთრის ჩემპიონატს ჩავატარებთ; 19-22 დეკემბერს სლოვაკეთი მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. იმ საქართველოს სამი ასაკობრივი ნაკრების ის წევრები იასპარეზებენ, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ. 2019 წელი კი უფრო დატვირთული გვექნება.

**ვაჟა დანელია**

# რა მსგავსებაა გიორგი ჩაკვეტაძესა და თორნიკე შენგელიას შორის?

**გიორგი ჩაკვეტაძე** - 20 წლის, 183 სმ სიმაღლის, ფეხბურთელი, საქართველოს ნაკრებში 2018 წლიდან, კლუბი - „გენტი", ბელგიის ჩემპიონატი.

**თორნიკე შენგელია** - 27 წლის, 207 სმ სიმაღლის, კალათბურთელი, საქართველოს ნაკრებში 2008 წლიდან, კლუბი - „ბასკონია", ესპანეთის ჩემპიონატი.

კარგად დაუკვირდით, რა მსგავსებაა შენგელიასა და ჩაკვეტაძეს შორის? სიმაღლეში დიდი სხვაობაა, სპორტის სახეობებშიც, კლუბებსა და ქვეყნებშიც. მხოლოდ ერთი სიტყვა მეორდება - „საქართველოს ნაკრები".

სწორედ ჩვენს ნაკრებს რომ ეხება საქმე, ეს პუბლიკაციაც იმიტომ გაჩნდა, რომლის წაკითხვისასაც იმდენ მსგავსებას აღმოაჩენთ ამ ორ სპორტსმენს შორის, თავადაც გაგიკვირდებათ.




## ქროლა

საქართველოს ახალგაზრდული ასაკის ნაკრებებიდან ყველაზე მეტად **ვასილ მაისურაძის** გუნდები მახსოვს. გადიოდნენ 17-წლამდელები მოედანზე და ინგლისელი იქნებოდა თუ ესპანელი, მოურიდებლად აბითურებდნენ. აშკარა იყო, რომ მწვრთნელს მოთამაშეებისთვის ერთი-ერთზე თამაშისას თავისუფლება ჰქონდა მიცემული, თუმცა ეს არ იყო უდისციპლინობა. პირიქით, მაისურაძის გუნდები დისციპლინით ყოველთვის გამოირჩეოდნენ.

მწვრთნელისგან ზურგი რომ გაქვს, ერთი კი არა, შეიძლება მთელი დაცვა მოატყუო. ...თუ შეგიძლია, რა თქმა უნდა. მაგრამ გინახავთ ქართველი ბავშვი, ფეხბურთს თამაშობდეს და ერთი კაცის მოტყუება არ იცოდეს? ზოგს ეს იოლად გამოსდის, ზოგს - ნაკლებად.

■ ■ ■

პირველად ჩაკვეტაძის თამაში 17-წლამდელთა ნაკრებში ვნახე და ძალიან მემსუბუქა. პირველი, რამაც თავში გამიელვა, ეს იყო: ნეტავ, 22-23 წლისაც ასე მსუბუქად დაქროდეს მოწინააღმდეგეებს შორის-მეთქი. ეს იყო უბრალო ნატვრა, რაც ქართულ შემთხვევაში ხშირად ვერ ახდენილა - როდესაც დიდ ფეხბურთში შებიჯების დრო დგება, დატვირთვების რაოდენობა მატულობს, ბევრ ქართველს ეზარება თავზემოთ ახტომა და მიღწეულით კმაყოფილდება. მხოლოდ ტექნიკით კი ჰუმელსს ველარ მოატყუებ, ჯანიც გჭირდება, რაც დისციპლინითა და ბევრი შრომით მოდის...

17-წლამდელებში მის თამაშს რომ ვუყურებდი, არ ვიცოდი, ვინ იყო ჩაკვეტაძე, რა ხასიათი ჰქონდა, როგორი მშრომელი იყო.

■ ■ ■

სამაგიეროდ, ვიცოდი თორნიკე შენგელიას ხასიათი და დარწმუნებული ვიყავი, რომ დიდ კალათბურთს ითამაშებდა. ხალისიანი ბავშვი იყო, მაგრამ ასაკობრივი ნაკრებების ვარჯიშებსა და თამაშებზე მასზე სერიოზული მსაჯებიც კი არ იყვნენ.

თოკოს მამა ხომ საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი, კახა შენგელიაა და პატარას თავიდანვე ჰქონდა მიზანი - მამის დარად საქართველოს ნაკრებში მოხვედრა და დიდი კალათბურთის თამაში.

ეს რომ ასე იქნებოდა, 2008 წლის ზამთარში დავრწმუნდი: 17 წლის თორნიკე ესპანური „ვალენსიას" მწვრთნელმა უმაღლეს ლიგაში „მენორკას" წინააღმდეგ ათამაშა. მოწინააღმდეგეებს შორის ისე დაქროდა, როგორც... მესი, ბრაიანტი, ჩაკვეტაძე...

თუ ჩაკვეტაძე დაქრის შენგელიასნაირად? გააჩნია, ფეხბურთელის თვალით შევხედავთ, თუ კალათბურთელის!

## რეჟიმი

„რეჟიმისტი" სპორტსმენიაო - ამბობენ ხოლმე. სასაცილო სიტყვაა. ჩემი აზრით, „არარეჟიმისტი" ადამიანი სპორტსმენი ვერ გამოვა. შეიძლება ვინმე შემეწინააღმდეგოს - მაშ, ჯორჯ ბესტი არაფერი იყოო?

ჯერ ერთი, ყველა თანხმდება, რომ ბესტმა შესაძლებლობები 50 პროცენტითაც ვერ გამოავლინა და მეორეც - დღევანდელ სპორტში ისეთი მაღალია თამაშის ინტენსიურობა, ერთი ჩაგდებული დღეც ათი ნაბიჯით უკან გხევს. მოვა სხვა, ნაკლებად ნიჭიერი და შენს ადგილს ისე დაიკავებს, როგორც მორყეული კბილის ადგილს - ფაიფურის კბილი.

■ ■ ■

2018 წლის 25 მარტს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა გიორგი ჩაკვეტაძეს. ლიეტუველებს მე-40 წუთზე გოლიც გაუტანა. 11 დღის შემდეგ, 5 აპრილს მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავი. გვერდში მისი სამსახურის მეგობარი მომიჯდა და მკითხა - ჩაკვეტაძე როგორ მოგწონსო.




პასუხად ჩემი პირველი ნაფიქრალი გავუმხილე:

- საქართველოში ნიჭიერ ხალხს რა დალევს, მაგრამ მთავარია, როგორ შეაბიჯებს დიდ ფეხბურთში, როდესაც დატვირთვები გაუორმაგდება, რამდენად ხალისით შეხვდება და დაიზარებს თუ არა უწინდებურად ვარჯიშს.

მეგობარმა პატარა მაგალითი მითხრა:

- ჩაკვეტაძე ჩემი ოჯახის ახლობელია. ჩემი ძმა ბელგიაში მის ოჯახში იყო და გაკვირვებული ჩამოვიდა: გიორგის ყველაფერი წუთობრივად აქვს გაწერილი, საღამოს ქალაქში გასასეირნებლადაც არ გამოგვყვა - ამა და ამ დროს უნდა მეძინოსო.

■ ■ ■

სწორედ ასეთი მიდგომით თორნიკე შენგელია წლიდან წლამდე იზრდებოდა. მხოლოდ სიმაღლეში და პროფესიულად ზრდა არ იგულისხმება. ყოველ წელს, თბილისში დაბრუნებული თორნიკე სულ უფრო დაკუნთული მეჩვენებოდა.

...კი არ მეჩვენებოდა, რეალურად ასე იყო. კალათბურთში კუნთების მატების თემა შესაძლოა დამღუპველიც აღმოჩნდეს - რაც უფრო იბერება კუნთი, მით ხელს უშლის სროლის დაყენებას. სწორედ ამ დროსაა საჭირო შრომის გაათმაგება, რომ სროლის სიზუსტეს არაფერი დააკლდეს. ამას თორნიკემ თავდაუზოგავი ვარჯიშით მიაღწია.

იგი დისციპლინაში სამაგალითო რომ იყო, ერთი ფაქტიც მეტყველებს: მისი მწვრთნელი იხსენებდა - ერთმა მოთამაშემ დისციპლინა დაარღვია, ისე არ მოიქცა, როგორც საჭირო იყო. მასთან ოთახში თორნიკე შევგზავნე და რომ გამოვიდა, მითხრა - ყველაფერი მოგვარდაო.

როდესაც გუნდელს სთხოვ შრომის თუ ზოგადი დისციპლინის დაცვას, ცხადია, თავადაც სამაგალითო უნდა იყო.

## ლიდერი

როდესაც თამაშის მოგება მარტოს შეგიძლია, რომც არ გინდოდეს, მოედნის მიღმაც უნდა იტვირთო ლიდერის ფუნქცია.

■ ■ ■

შენგელია ლიდერი რომ არ ყოფილიყო, მწვრთნელი მას თანაგუნდელისთვის ჭკუის სასწავლებლად თუ დასარიგებლად არ შეუშვებდა.

მას ლიდერის ხასიათი ახალგაზრდობიდანვე ჩამოუყალიბდა და დღეს ბასკონიელი მეტ ჯენინგი გულახდილად ამბობს - მთელი გუნდი შენგელიას შეჰყურებსო.

■ ■ ■

გიორგი ჩაკვეტაძემ საქართველოს ნაკრებში 18-ნომრიანი მაისურით დაიწყო და ერთი წელიც არ დასჭირდა, 10-ნომრიანი მაისურა მიელო. ეს იმის მანიშნებელია, რომ პატივს სცემს, მესის, მარადონას, ზიდანს... დიდ ათიანებს. ფეხბურთში ხომ 10-ნომრიან მაისურებს რიგითი მოთამაშეები ვერ იღებენ.

მას, ისევე როგორც თორნიკეს, თამაშის მარტოს მოგება შეუძლია, მაგრამ ჯერ 19 წლისაა და მოედნის მიღმაც ლიდერად ჩამოსაყალიბებლად დრო სჭირდება. დრო კი, ჩვენს შემთხვევაში გამოცდილებაა.

## ბელგია

ბოლო ზამთარში ბაკურიანში ავიარე. ციგა ვიქირავე და ერთი დაშვების შემდეგ ჩავაბარე - ტრამპლინზე ისე ავხტი და დავხტი, ციგაობის გაგრძელების სურვილი გამიქრა. ტრამპლინზე ახტომას ცოდნა უნდა, ისიც უნდა იცოდე, როგორი ტრამპლინი გჭირდება...

■ ■ ■

თორნიკე შენგელიამ ევროპული კარიერა ესპანეთში დაიწყო, „ვალენსიას" მწვრთნელმა 17 წლისა უმაღლეს ლიგაშიც ათამაშა, მაგრამ ესპანეთი მისთვის არ იყო ტრამპლინი დიდ კალათბურთში. იქ ხომ ევროპაში საუკეთესო ლიგაა, ტოპ-კალათბურთელები თამაშობენ და 20 წლის ახალგაზრდისთვის ტრამპლინად უმჯობესი იყო სხვა ქვეყანა, სადაც ბევრს ითამაშებდა და ბოლომდე გაიხსნებოდა.

მან და მისმა აგენტმა ბელგიაზე შეაჩერეს აქცენტი: თორნიკეც საშუალო დონის „პეპინსტერში" გადავიდა, სადაც უკვე 20 წლისას ლიდერის ფუნქციები დაეკისრა.

„პეპინსტერში" თოკო 7-ნომრიანი მაისურით თამაშობდა. 7 ხომ ქართველთათვის საყვარელი რიცხვია.

■ ■ ■

ბელგიაზე ლაპარაკისას შენგელიას ნაცვლად ჩაკვეტაძის გვარი რომ ჩავსვათ, ხოლო „პეპინსტერი" „გენტით" ჩავანაცვლოთ, აზრი არ შეიცვლება: ჩაკვეტაძემაც ხომ დიდ ფეხბურთში შესასვლელად ტრამპლინად ბელგია აირჩია, ისიც ხომ მეშვიდე ნომერია „გენტში", ბევრსაც თამაშობს და ბოლომდეც გაიხსნა.

## უნივერსალიზმი

შემტევი, წინახაზელი, ფორვარდი, თავდამსხმელი... ეს გახლავთ სათამაშო ამპლუები ფეხბურთსა და კალათბურთში.

■ ■ ■

თუ სიმაღლე ხელს გიწყობს, კალათბურთში გამთამაშებლადაც შეგიძლია დადგე და ცენტრადაც, ისე, როგორც ეს შენგელიას შემთხვევაში ხდება.

- თორნიკესნაირი კალათბურთელი იშვიათია, უნივერსალია. რომელ პოზიციაზეც გინდა დააყენო, ყველგან თანაბრად წარმატებით შეუძლია თამაში, - ეს სიტყვები მისმა მწვრთნელმა ნიკო ჩერქეზიშვილმა მაშინ მითხრა, როდესაც თორნიკე 15 წლისა იყო.

■ ■ ■

ყაზახეთთან პირველ მატჩში გიორგი ჩაკვეტაძე ვლადიმირ ვაისმა ჯერ მარცხენა ფლანგზე დააყენა, შემდეგ მარჯვნივ გადავიდა, ცენტრიდანაც უტევდა... დავფიქრდი - ფლანგების ცვლილებას ხომ დიდი ენერგია სჭირდება, როგორ გაუძლებს 19 წლის ბიჭი ამდენს?

თურმე გაუძლებს!

გგონიათ, მხოლოდ ერთ ფლანგს მიჯაჭვული შემტევი რომ იყოს, მისდამი ინტერესს ამდენი კლუბი გამოიჩენდა? არა ბატონებო, „ბორუსიას" მწვრთნელს თავდასხმის მარჯვენა კუთხეში ატუზული ფეხბურთელი არ სჭირდება, ისეთი მოთამაშე უნდა, მარჯვნივ გაუჭირდება - მარჯვნივ გადაისვრის, მარცხნივ გაუჭირდება - მარცხნივ, თუ უნდა თავდამსხმელების უკან დააყენებს და...

მოკლედ, რაც მეტი ენა იცი, მით მეტად ფასობ.

## დავასკვნათ

გიორგი ჩაკვეტაძეც ისევე დაქრის, როგორც 19 წლის თორნიკე შენგელია დაქროდა;

გიორგიც ისევე მტკიცედ იცავს რეჟიმს - როგორც თოკო;

ჩაკვესაც შენგელიასნაირად ეტყობა, რომ ლიდერობა შეუძლია;

ერთმაც ბელგია აირჩია ტრამპლინად და მეორემაც;

დასავლეთ ევროპაში ერთსაც შვიდიანი აწერია და მეორესაც ეწერა;

გიორგიც უნივერსალი თავდამსხმელია და თორნიკეც.

მათ შორის განსხვავება მხოლოდ ასაკშია: შენგელია 27 წლისაა, ჩაკვეტაძე - 19-ის. 27-19=8. სწორედ 8 წელი დასჭირდა შენგელიას ევროპის ტოპ-ფორვარდად ჩამოსაყალიბებლად, ევროლიგის (საფეხბურთო ენაზე - ჩემპიონთა ლიგის) სეზონის სიმბოლურ ნაკრებში მოსახვედრად.

ჩაკვეტაძესაც შეუძლია 8 წლის შემდეგ ევროპის ტოპ-ფორვარდთა შორის საპატიო ადგილას იყოს... ოღონდ შენგელიასნაირად უნდა იშრომოს.

**P.S.** ეს პუბლიკაცია თითქმის დასრულებული მქონდა, როდესაც ჩემი გოგონა წიგნით ხელში მომადგა - ბარბალეზე უნდა მოგიყვე, მზის განმასახიერებელი ქალღმერთი რომ იყოო. ვთხოვე, ცოტაც დამაცადე, თორნიკე შენგელიასა და გიორგი ჩაკვეტაძეზე ვწერ, მალე დავამთავრებ და მერე მოგისმენ-მეთქი.

- ჩაკვეტაძეზე და შენგელიაზე ერთად? - გაუკვირდა გოგონას.

- დიახ. ერთმანეთს ვადარებ. შენი აზრით, რით ჰგვანან ერთმანეთს?

- ორივე ძალიან მაგარია!

აი, მთავარი მსგავსება!

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი

# ფაჩულიას დეტროიტმა კლივლენდის დაამარცხა

**ზაზა ფაჩულიას** „დეტროიტმა“ ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მე-8 მატჩი მოიგო. ამჯერად ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან აღმოსავლეთის კონფერენციის აუტსაიდერად ქცეულ „კლივლენდ კავალიერსს“ (2 მოგება) ხვდებოდა.


ზაზა ფაჩულია „კლივლენდის“ წინააღმდეგ

მიჩიგანელებმა პირველი პერიოდი 38:27 მოიგეს, რის შემდეგაც „კავალიერებისთვის“ თამაშში დაბრუნების შანსი არ მიუციათ. მატჩის ბედი კი მეოთხე პერიოდის დაწყებამდე გადაწყდა, როდესაც „პისტონსი“ 93:69 დაწინაურდა. საბოლოოდ 113:102 „დეტროიტის“ სასარგებლოდ.

გამარჯვებაში 23-ქულიანი წვლილი **ანდრე დრამონდმა** შეიტანა, რომელმაც 16 მოხსნაც ჩაიწერა. **ბლეიქ გრიფინისა** და **რეჯი ბალოკის** ანგარიშზე 21-21 ქულაა.

ზაზა ფაჩულიას მონაგარი ასეთი იყო: 9 წუთი, 2 ქულა (2-დან 2 საჯარიმო), 3 მოხსნა, 1 პასი.

„დეტროიტს“ 8 მოგების წილ 6 წაგება აქვს და აღმოსავლეთის კონფერენციაში საპატიო მეხუთე ადგილზეა.

ვაჟა სიმონიშვილი

ხელბურთი


ჩემპიონატში

# პეგასი და თელავი დაწინაურდნენ

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურში, რომელსაც სასპორტო კომპლექსმა „არენამ“ უმასპინძლა, აღმოსავლეთის ზონის ფავორიტებს წარმატების მიღწევა არ გასჭირვებიათ - იოლად დაამარცხეს კონკურენტები. „პეგასმა“ 27 ბურთის სხვაობით აჯობა „გორს“, ხოლო სტუ-ს და თელავის „იმედის“ გაერთიანებულმა გუნდმა დებიუტანტს - სპორტის უნივერსიტეტის „სპორტუნს“ 7 ბურთის სხვაობით სძლია. ამდენად, 4-4 ქულით „პეგასი“ და თელაველები დაწინაურდნენ. მათ შორის უძლიერესს დღევანდელი მესამე ტურის პაექრობა გამოავლენს.

**სპორტუნი – თელავი 26:33**

**სპორტუნი:** ხარაიშვილი, ჩიკვილაძე - 10, გოდელაშვილი - 6, გულდედავა - 4, ჩაკვეტაძე - 4, ერისთავი - 2, დელიბაშვილი.

**თელავი:** ცინცაძე, ხიდეშელი, ყორიაული - 13, დოლმაზაშვილი - 5, ცისკარიშვილი - 4, გავაშელიშვილი - 3, გოგალაძე - 3, კორსანტია - 2, მაისაშვილი - 1, ბაინაზიშვილი - 1, ამირანაშვილი - 1, ბერაძე.

**გორი – პეგასი 26:53**

**გორი:** თითირაშვილი, გუდურაშვილი - 6, ახალბედაშვილი - 5, მჭედლიშვილი - 5, ზუბიაშვილი - 4, ტარუაშვილი - 3, მურადაშვილი - 2, დალაქიშვილი - 1, ხუბულური.

**პეგასი:** გორგოძიანი, კალანდაძე - 10, გვაზავა - 8, კუხალაშვილი - 5, დგებუაძე - 4, ბაძალუა - 4, ქათამაძე - 4, გრიშიკაშვილი - 3, კოხრეიძე - 3, ზარნაძე - 3, ჭანტურია - 3, პატაშური - 3, ჟვანია - 2, ასაბაშვილი - 1.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პეგასი | 2 | 2 | 0 | 0 | 96:57 | 4 |
| თელავი | 2 | 2 | 0 | 0 | 74:59 | 4 |
| სპორტუნი | 2 | 0 | 0 | 2 | 57:76 | 0 |
| გორი | 2 | 0 | 0 | 2 | 59:94 | 0 |

25 ნოემბერს ქუთაისის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს დასავლეთის ოთხეული. პირველ ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“ - „წყალტუბო“, „ქუთაისი“ - „სამტრედია“. პირველი წრის საერთო ტური სასპორტო კომპლექს „არენაში“ 10-13 დეკემბერს გაიმართება.

ვაჟა დანელია

კალათბურთი

# სანაძისა და გიპუსკოას გზები გაიყო

**დუდა სანაძისა** და სანსებასტიანური „გიპუსკოას“ გზები გაიყო. მიზეზი ფინანსური პრობლემებია, რომელსაც ესპანეთის უმაღლესი დივიზიონის აუტსაიდერი გუნდი განიცდის. კლუბს მოთამაშეების მიმართ დავალიანება აქვს და სანაძის კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების აღება აღარ ისურვა. შეგახსენებთ, რომ სანსებასტიანურმა კლუბმა ქართველ უკანახაზელს 1+7-თვიანი კონტრაქტი გაუფორმა და 1 თვის გასვლის შემდეგ მასთან კონტრაქტი ველარ გააახანგრძლივა.

„გიპუსკოა ბასკეტის“ მთავარმა მწვრთნელმა **სერხიო ვალდეოლმილოსმა** თავად აღნიშნა, რომ სანაძის გარჯით კმაყოფილი იყო და ქართველის ლეგიონერის შენარჩუნება სურდა, თუმცა, არსებულმა ვითარებამ გამოსავალი არ დაუტოვა და 12-კაციანი განაცხადის ამარა დარჩა, რომელშიც საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი **ბექა ბურჯანაძეც** იმყოფება.

შეგახსენებთ, რომ დუდამ ბოლო მატჩში „რეალის“ წინააღმდეგ 17 ქულა ჩააგდო.

ვაჟა სიმონიშვილი

დუდა სანაძე


ხელბურთი

## ორი გუნდი უდანაკარგოდ

18 ქალაქის 21 სახელბურთო კლუბის 65 გუნდი მონაწილეობს საქართველოს 2018-2019 წლების ჩემპიონატების ექვსივე კატეგორიაში (ქალთა და ვაჟთა უმაღლესი ლიგა, გოგონებისა და ჭაბუკების ორ-ორი ასაკობრივი კატეგორია: 17- და 15-წლამდელები). ეს სარეკორდო რაოდენობაა. ექვსივე კატეგორიაში წარმომადგენლობა ჰყავს სამ კლუბს - თბილისის „პეგასს“, „სამტრედიასა“ და „წყალტუბოს“. შემდეგ მოდიან: ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“, „ქარიშხალა“, ფოთის „ოქროს ვერძი“, „აჭარა“ (5-5), „ყვარელი“, „გორი“ (4-4), „თელავი“, „ქუთაისი“, „მამული“ (3-3), „რუსთავი“ (2), სპორტის უნივერსიტეტის „სპორტუნი“, „ხელვაჩაური“, „ქარელი“, „ტყიბული“, „ლაგოდეხი“, „სენაკი“, „ზუგდიდი“, „ახაშენი“ (თითო-თითო გუნდი).

სხვა კატეგორიების მსგავსად, სტარტი აიღო ჭაბუკთა (15-წლამდელები) საქართველოს ჩემპიონატმაც, რომელშიც 13 გუნდი იბრძოლებს მედლებისთვის. დასავლეთის ზონის რვა გუნდს ხელვაჩაურმა უმასპინძლა. პაექრობებს შესანიშნავად გაართვა თავი „აჭარამ“, რომელმაც სამი მეტოქე დაამარცხა და გათამაშების ცხრილს ჩაუდგა სათავეში. ორი მატჩი მოიგო „ქუთაისმა“ და 4 ქულით მეორეზეა. ამდენივე ქულა მოაგროვა ფოთის „ოქროს ვერძმა“, მაგრამ სამი თამაშიდან და მესამე ადგილზეა.

ხელვაჩაური. „აჭარა“ - „ბათუმი“ 19:7, „ფოთი“ - „წყალტუბო“ 8:5, „სენაკი“ - „სამტრედია“ 4:8, „ზუგდიდი“ - „ქუთაისი“ 6:7, „ფოთი“ - „აჭარა“ 4:17, „წყალტუბო“ - „სენაკი“ 16:1, „ქუთაისი“ - „ბათუმი“ 15:4, „სამტრედია“ - „ზუგდიდი“ 6:17, „აჭარა“ - „სენაკი“ 20:4, „ბათუმი“ - „ფოთი“ 5:11;

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| აჭარა | 3 | 3 | 0 | 0 | 56:15 | 6 |
| ქუთაისი | 2 | 2 | 0 | 0 | 22:10 | 4 |
| ფოთი | 3 | 2 | 0 | 1 | 23:27 | 4 |
| წყალტუბო | 2 | 1 | 0 | 1 | 21:9 | 2 |
| ზუგდიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 23:13 | 2 |
| სამტრედია | 2 | 1 | 0 | 1 | 14:21 | 2 |
| ბათუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 16:45 | 0 |
| სენაკი | 3 | 0 | 0 | 3 | 9:44 | 0 |

აღმოსავლეთის 5 გუნდი („ქარიშხალა“, „პეგასი“, „რუსთავი“, „გორი“, „ახაშენი“) შეჯიბრებაში პირველი დეკემბრიდან ჩაებმება: პაექრობების თბილისის სასპორტო კომპლექს „არენაში“ გაიმართება: „რუსთავი“ - „გორი“, „პეგასი“ - „ქარიშხალა“, „რუსთავი“ - „ახაშენი“, „გორი“ - „პეგასი“, „ახაშენი“ - „ქარიშხალა“. დასავლეთის ზონის გუნდები 2 დეკემბერს სენაკში შეიკრიბებიან.

ხელბურთი

## ტრადიციას წლეულსაც უერთგულეს

სამტრედიასა და წყალტუბოში წლეულსაც ტრადიციულად გაიმართა ადგილობრივი სახელბურთო სკოლების ფუძემდებლების - ვახტანგ ხელისუფლის, მილენ ქიშმარიას და როინ მეტრეველის სახელობის საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც ჭაბუკ ხელბურთელთა 5-5 გუნდი მონაწილეობდა. სამტრედიის, წყალტუბოს, ქუთაისისა და გორის გუნდებთან ერთად, როგორც შარშან, პირველობისთვის უკრაინის ქალაქ მელიტოპოლის კლუბის ხელბურთელებიც იბრძოდნენ. სამტრედიაში ხელისუფლისა და ქიშმარიას პრიზი მასპინძლებმა დაისაკუთრეს, რომლებმაც ფინალში მელიტოპოლელები დაამარცხეს 21:19, მესამე ადგილზე ქუთაისელები გავიდნენ.

წყალტუბოში მეტრეველის მემორიალი მელიტოპოლის გუნდმა მოიგო, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში სამტრედიას 3 ბურთით აჯობა. მესამე ისევ ქუთაისის გუნდმა დაიკავა. ორივე ტურნირს ახალგაზრდა ქართველ მსაჯებთან ერთდ უკრაინელი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები - რუსლან პერეპელიცა და ანდრეი კულაჩოკი ემსახურებოდნენ.

ტურნირის შემდეგ მელიტოპოლელებმა გორში ადგილობრივ ხელბურთელებთან გამართეს ამხანაგური მატჩი. საგულისხმოა, რომ მანამდე მეტოქეები სომხეთის ქალაქ ალავერდის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ. იქ პირველი ადგილი მელიტოპოლის, მეორე - ხარკოვის, ხოლო მესამე ადგილი კი გორის გუნდს ხვდა.

ჭადრაკი

## სტურუა და ბაღათუროვი ლიდერთა შორის

სლოვენიურ ბლედში ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. 50 წელს გადაცილებულებში ლიდერობა განიმტკიცეს **ზურაბ სტურუამ** და **გიორგი ბაღათუროვმა**: სტურუამ შავი ფიგურებით მასპინძელ **ვოიკო მესინჯერს** სძლია, ხოლო ბაღათუროვმა, ასევე, სლოვენ **მირამ კასტელიჩს** მოუგო და ორივე ჩვენებურმა 3-3 ქულას მოუყარა თავი.

ამავე ასაკის ქალებში **გიული ალიხანაშვილმა ოლგა ბირხოლცი** (გერმანია) დაამარცხა, **ციალა ქასოშვილი ტატიანა ბოგუმილს** (რუსეთი) დაუზავდა. ქასოშვილს 1.5, ალიხანაშვილს 1 ქულა აქვს.

65 წელს გადაცილებულ მანდილოსნებში ქართველების - **თამარ ხმიადაშვილისა** და **ნონა გაფრინდაშვილის** შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ქალბატონმა ნონამ 2 ქულა მოაგროვა, ხმიადაშვილმა - 1.5 ქულა. 2 ქულა აქვს კაცებში **ვარლამ ვეფხვიშვილს,** რომელმაც გუშინ **ბორის მარიასინთან** (ისრაელი) წააგო.

## ჩემპიონის ვინაობა დღეს გაირკვევა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დამთავრდება საქართველოს მოჭადრაკეთა საკლუბო ჩემპიონატი. შეჯიბრებაში რვა გუნდი მონაწილეობს. გუშინ ბოლოსწინა მე-6 ტურში პოზიციები განიმტკიცეს ლიდერებმა: დედაქალაქის „თბილისმა“ ქვემოქართლელთა „რუსთავი 2-ს“ მშრალი ანგარიშით - 6:0 აჯობა, ბათუმის „ნონამ“ კი ზუგდიდის საჭადრაკო კლუბი დაჯაბნა - 5.5:0.5. თბილისის „ამომავალი ვარსკვლავი“ - რუსთავის „რუსთავი 1“ 3:3, ოზურგეთის „გურია“ - ქუთაისის „იმერეთი“ 5.5:0.5.

ექვსი ტურის შემდეგ: „თბილისი“, „ნონა“ - 11-11, „რუსთავი 1“ - 9, „გურია“ - 6, „ამომავალი ვარსკვლავი“ - 5, „ზუგდიდი“ - 4, „რუსთავი 2“ - 2, „იმერეთი“ - 0 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან: „თბილისი“ - „ნონა“, „რუსთავი 1“ - „რუსთავი 2“, „იმერეთი“ - „ამომავალი ვარსკვლავი“, „ზუგდიდი“ - „გურია“.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი



# ჯოკოვიჩის და ნადალის ანტირეკორდები

მამაკაცებს შორის 2018 წლის სეზონი დასრულდა. ყველაზე წარმატებული ჩოგბურთელი აღმოჩნდა **რაფაელ ნადალი**, რომელმაც ხუთი ტურნირი მოიგო. ეს არის ყველაზე ცუდი შედეგი 2002 წლიდან, როცა ამერიკელმა **ანდრე აგასიმ** და ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა** ლიდერობა გაიყვეს ასევე 5-5 მოგებით.

გასულ სეზონში ესპანელმა ჩოგბურთელმა მოიგო: როლან გაროსი, სამი „მასტერსი" (მონტე კარლო, რომი, ტორონტო) და ბარსელონას ტურნირი. ამასთან, ესპანელი ჩოგბურთელი არ თამაშობდა აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ და რეიტინგში ლიდერობა დაუთმო **ნოვაკ ჯოკოვიჩს**.

2018 წელს, ნადალს თითო მოგებით ჩამორჩნენ - ჯოკოვიჩი, **როჯერ ფედერერი** და **ალექსანდრ ზვერევი**.

■ ■ ■

სერბმა ჩოგბურთელმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა 2018 წელი პირველი ჩოგანის რანგში დაასრულა. სეზონის დასრულების მომენტში ის 31 წლისა და 223 დღის იყო - ამით ნოვაკი გახდა ყველაზე ასაკოვანი ჩოგბურთელი ATP-ის ისტორიაში, ვინც სეზონი პირველი ნომრის სტატუსით დაასრულა.

ჯოკოვიჩის მონაგარი კლასიფიკაციაში 9054 ქულაა. ეს არის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ისტორიაში რეიტინგის ლიდერებისთვის.

ნოვაკ ჯოკოვიჩმა 2018 წელს „დიდი სლემის" ორი ტურნირი მოიგო - უიმბლდონი და აშშ-ის ღია პირველობა.

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

პირველ ვარსკვლავად დასახელდა „კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის" ფორვარდი **კემ ატკინსონი**, რომელმაც სამ მატჩში რვა ქულის დაგროვება მოახერხა - ხუთი გოლი გაიტანა და სამი საგოლე პასი შეასრულა.

კვირის მეორე ვარსკვლავი გახდა „ჩიკაგო ბლეკჰოქსის" მეკარე **კორი კროუფორდი**. ის საშუალოდ მატჩში 0.65 შაიბას უშვებდა.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი ერგო „სან ხოსე შარქსის" ფორვარდს **ჯო პაველსკის**. მის ანგარიშზე სამ მატჩში 6 ქულა (5+1) იყო.

**რეინჯერსი-დალასი 2:1**

**0:0, 1:1, 1:0**

**გოლები**: 0:1 სეგუინი-7 (ლინდელი-6, სპეცა-10), 1:1 ვესეი-7 (მ. სტაალი-4, ჰოუდენი-8), 2:1 ჩიტილი-4 (ზ. სმიტი-3).

**პიტსბურგი-ბაფალო 4:5 (ო)**

**2:1, 2:2, 0:1, 0:1**

**გოლები**: 1:0 ბრასარი-2 (ჰორნკვისტი-4), 1:1 ტ. ტომპსონი-1 (რაინჰარტი-12, რისტოლაინენი-8), 2:1 კესელი-10 (პირსონი-2, მალკინი-19), 3:1 გიუნტცელი-7 (ჰორნკვისტი-5), 4:1 პირსონი-1 (ჯ. ჯონსონი-5, მალკინი-20), 4:2 ბოგოსიანი-2 (სკინერი-8, აიკელი-19), 4:3 კ. ნელსონი-1 (ოკსოპო-7, ოკსოპო-5), 4:4 მიტელშტადტი-3 (ოკსოპო-8, ბოგოსიანი-2), 4:5 აიკელი-5 (რისტოლაინენი-9).

**ტორონტო-კოლამბუსი 4:2**

**0:2, 2:0, 2:0**

**გოლები**: 0:1 ატკინსონი-13 (დუბუა-9), 0:2 დუბუა-10 (ატკინსონი-9, პანარინი-17), 1:2 ენისი-3 (გოტიე-2, ჰეინსი-7), 2:2 ტავარესი-13 (მარნერი-21, კაპანენი-7), 3:2 ჰიმანი-2 (მორგან რაილი-17, ტავარესი-12), 4:2 ჰიმანი-3 (მარნერი-22, ჰეინსი-8).

**მონრეალი-ვაშინგტონი 4:5 (ო)**

**1:2, 3:1, 0:1, 0:1**

**გოლები**: 1:0 მაიკ რაილი-2 (პეკა-5), 1:1 კონოლი-3 (ჯ. კარლსონი-15, ორლოვი-5), 1:2 ოვეჩკინი-14 (ტ. უილსონი-3, ორლოვი-6), 2:2 გალაჰერი-10 (დანო-11, პეტრი-15), 3:2 პეტრი-2 (კოტკანიემი-8, დომი-15), 4:2 აგოსტინო-1 (ლეჰკონენი-9, კოტკანიემი-9), 4:3 ბექსტრიომი-6 (ჯოოსი-3, ბოუი-3), 4:4 ოვეჩკინი-15 (ჯ. კარლსონი-16, ტ. უილსონი-4), 4:5 ელერი-4 (ვრანა-5, კემპნი-3).

**ოტავა-ფლორიდა 5:7**

**1:4, 2:2, 2:1**

**გოლები**: 1:0 დუშენი-9 (იაროსი-2, შაბო-19), 1:1 ბროუერი-4 (ლამიკო-2), 1:2 ბარკოვი-6 (ტროჩეკი-11, იენდლი-13), 1:3 მაკანი-2 (ჰანტი-1), 1:4 დადონოვი-9 (ბარკოვი-11, ეკბლადი-3), 2:4 დუშენი-10 (ბატერსონი-3), 3:4 ბატერსონი-2 (დუშენი-17, ლაჟუა-5), 3:5 ჰელეი-1 (ლამიკო-3, ეკბლადი-4), 3:6 ვატრანო-6 (ლამიკო-4), 4:6 ზ. სმიტი-3 (ბ. რაიანი-8, ბოროვიცკი-2), 5:6 ბ. ტკაჩუკი-6 (მარკ სტოუნი-15, ტირნი-15), 5:7 ჰოფმანი-9 (ლამიკო-5, იუბერდო-12).

**სტ. ლუისი-ლოს ანჯელესი 0:2**

**0:0, 0:1, 0:1**

**გოლები**: 0:1 ლუფი-1 (კემპე-3, ჰაგელინი-3), 0:2 კოპიტარი-6 (დ. ბრაუნი-4, დაუტი-10).

**ნეშვილი-ტამპა ბეი 3:2**

**1:1, 2:0, 0:1**

**გოლები**: 0:1 ჰედმანი-4 (პოინტი-11, ჩერნაკი-1), 1:1 ტარისი-5 (იარნკროკი-3, ეკჰოლმი-9), 2:1 ფორსბერგი-13 (ეკჰოლმი-10, ჯოჰანსენი-16), 3:1 ჯოჰანსენი-4 (კ. სმიტი-5, იოზი-10), 3:2 კუჩეროვი-8 (პოინტი-12, მაკდონა-12).

**კალგარი-ვეგასი 7:2**

**5:0, 2:0, 0:2**

**გოლები**: 1:0 მ. ტკაჩუკი-10 (გოდრო-15, ჯორდანო-17), 2:0 გოდრო-7 (მონაჰენი-12, ლინდჰოლმი-11), 3:0 მონაჰენი-11 (გოდრო-16, 4:0 ბროუდი-1 (მ. ტკაჩუკი-13, ჯორდანო-18), 5:0 მონაჰენი-12 (მ. ტკაჩუკი-14, გოდრო-17), 6:0 მ. ტკაჩუკი-11 (ბაკლუნდი-8), 7:0 ბენეტი-3 (დ. რაინი-3, ჰანიფინი-8), 7:1 ჰოლდენი-3 (რივსი-2, ვ. კარლსონი-12), 7:2 პასიორეტი-4 (რ. სმიტი-7, მარშესო-9).

**ვანკუვერი-ვინიპეგი 3:6**

**1:3, 2:1, 0:2**

**გოლები**: 0:1 ლიტლი-4, 1:1 პეტერსონი-12 (ჰატონი-5, გოლდობინი-10), 1:2 შაიფლი-11 (ელერსი-5, ტროუბა-8), 1:3 კონორი-10 (შაიფლი-11, ბაფლინი-12), 1:4 ლაინე-9 (კონორი-8), 2:4 მოტი-2 (ჰორვატი-9), 3:4 გოლდობინი-3, 3:5 ლაინე-10 (ლიტლი-5, კონორი-9), 3:6 ლაინე-11 (კონორი-10, მიერსი-2).

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატია

# კვირის მოთამაშეები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეები დაასახელა.

აღმოსავლეთ კონფერენციაში საუკეთესოდ გამოაცხადეს „ორლანდოს" ცენტრი **ნიკოლა ვუჩევიჩი**. მისი საშუალო მაჩვენებლები იყო - 27.8 ქულა, 10.5 მოხსნა და 4.0 შედეგიანი პასი. „მეჯიქმა" გასულ კვირას სამი მატჩი წააგო და ერთხელ დამარცხდა. „ორლანდო" აღმოსავლეთ კონფერენციაში მეშვიდე ადგილზეა.

დასავლეთის ლაურეატი გახდა „ნიუ ორლეანის" მძიმე ფორვარდი **ენტონი დევისი**. მისმა კლუბმაც ოთხიდან სამი მატჩი მოიგო, რაშიც დევისის წვლილი იყო - 34.3 ქულა, 14.0 მოხსნა და 5.3 შედეგიანი პასი. „ნიუ ორლეანი" მეშვიდე პოზიციაზეა დასავლეთ კონფერენციაში.

**შარლოტი-ბოსტონი 117:112**

**29:24, 25:32, 30:31, 33:25**

**შ:** უოკერი(43), ლემბი (18), ერნანგომესი (14).

**ბ:** ირვინგი (27+11 პასი), ტატუმი (18), სმარტი (14), ბრაუნი (10), ჰორფორდი (10), ტაისი (10).

**დეტროიტი-კლივლენდი 113:102**

**38:27, 28:19, 27:23, 20:33**

**დ:** დრამონდი (23+16 მოხსნა), გრიფინი (21+12 მოხსნა), ბულოკი (21), ჯექსონი (13), სმიტი (11).

**კ:** სექსტონი (18), კლარკსონი (16), ჰუდი (12), ჟიჟიჩი (12), ტომპსონი (10+7 მოხსნა), ოსმანი (10).

**ინდიანა-იუტა 121:94**

**32:19, 25:28, 29:23, 35:24**

**ი:** ბოგდანოვიჩი (21), ჰოლიდეი (19+7 მოხსნა), საბონისი (19+9 მოხსნა+9 პასი), იანგი (12), ტერნერი (12), მაკდერმოტი (12).

**ი:** რუბიო (28), კრაუდერი (14), გობერი (12+11 მოხსნა).

**ფილადელფია-ფინიქსი 119:114**

**26:36, 31:26, 35:24, 27:28**

**ფილ**: ემბიდი (33+17 მოხსნა), სიმონსი (19+11 მოხსნა+9 პასი), მუსკალა (19), რედიკი (17), ბატლერი (16).

**ფინ**: ბუკერი (37+8 პასი), უორენი (21), ეიტონი (17+9 მოხსნა), ბრიჯესი (13), არიზა (10+7 მოხსნა), ჰოლმსი (10).

**ატლანტა-კლიპერსი 119:127**

**34:29, 30:32, 32:28, 23:38**

**ა:** იანგი (25+17 პასი), პრინსი (21), კოლინზი (18), დედმონი (13+12 მოხსნა), ლენი (12+12 მოხსნა).

**კ:** ჰარელი (25+11 მოხსნა+5 ჩაჭრა), ჰარისი (24+8 მოხსნა), სკოტი (18+7 მოხსნა), შაი (16), უილიამსი (16+7 მოხსნა+11 პასი), მარიანოვიჩი (12).

**მემფისი-დალასი 98:88**

**25:21, 28:28, 21:25, 24:14**

**მ:** კონლი (28+7 პასი), მ. გასოლი (17+15 მოხსნა+4 დაფარება), ჯექსონი (13+4 დაფარება), ტემპლი (12), გრინი (12+9 მოხსნა).



**დ:** სმიტი (19), ჯორდანი (17+20 მოხსნა), დონჩიჩი (15+10 მოხსნა), ფინი-სიტი (13), ბარნსი (10).

**მილუოკი-დენვერი 104:98**

**25:29, 21:27, 32:21, 26:21**

**მ:** ანტეტოკუნმპო (29+12 მოხსნა), ბლედსოუ (23), მიდლტონი (13), ბროგდონი (13+8 მოხსნა), ლოპესი (8+10 მოხსნა).

**დ:** იოკიჩი (20), მიურეი (17+8 მოხსნა+9 პასი), ჰარისი (14), ბიზლი (12), მორისი (10).

**ნ. ორლეანი-სან ანტონიო 140:126**

**30:39, 38:28, 40:30, 32:29**

**ნ-ო:** დევისი (29+9 მოხსნა), მური (24), ჰოლიდეი (21+9 პასი), რენდლი (21+14 მოხსნა+10 პასი), მიროტიჩი (13), ჯექსონი (12).

**ს-ა:** დეროზანი (21), ფორბსი (20), კანინგემი (19+7 მოხსნა), გეი (17), პოელტლი (11), ბელინელი (11), ოლდრიჯი (7+10 მოხსნა).

**საკრამენტო-ოკლაჰომა 117:113**

**37:24, 32:32, 15:29, 33:28**

**ს:** ჰილდი (25), შამპერტი (23+4 ჩაჭრა), ბოგდანოვიჩი (16), ბეგლი (15+13 მოხსნა), ბიელიცა (12+8 მოხსნა), კოული-სტაინი (9+14 მოხსნა), ფოქსი (6+13 პასი).

**ო:** უესტბრუკი (29+13 მოხსნა+7 პასი), ჯორჯი (27+9 მოხსნა), დიალო (18), ადამსი (11+15 მოხსნა), ლუვავუ-კაბარო (11).

კრივი



# პაკიაო: 19 იანვარს, ლას ვეგასში

ლეგენდარული ფილიპინელი მოკრივე **მენი პაკიაო** 19 იანვარს ჩაატარებს მორიგ ორთაბრძოლას ამერიკელი **ედრიენ ბრონერის** წინააღმდეგ, - იტყობინება ტელეარხი Showtime. ბრძოლა, რომელშიც თამაშდება პაკიაოს კუთვნილი WBA-ის საჩემპიონო ქამარი (66 კგ), ლას ვეგასში გაიმართება.

39 წლის პაკიაომ პროფესიულ კარიერაში 60 გამარჯვება მოიპოვა (39 - ნოკაუტით), შვიდჯერ დამარცხდა (სამჯერ - ნოკაუტით) და კიდევ ორი ბრძოლა ფრედ დაასრულა. თავისი ბოლო შეხვედრა მან ივლისში ჩაატარა, როცა ტექნიკური ნოკაუტით აჯობა არგენტინელ ლუკამ მატისეს.

29 წლის ბრონერის ანგარიშზეა - 33 მოგება (24 ნოკაუტით), სამი წაგება და ერთი ფრე.

ოლიმპიზმი

# კალგარიმ ოლიმპიადაზე უარი თქვა

კანადის ქალაქი კალგარი აღარ აცხადებს პრეტენზიას 2026 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარებაზე. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საქალაქო საბჭომ. დაახლოებით ერთი კვირის წინ, კალგარიში გაიმართა რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობის 56-მა პროცენტმა უარი უთხრა თამაშების ორგანიზებას.

როგორც CBC იტყობინება, საქალაქო საბჭომ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო. ქალაქის მერმა **ნაჰიდ გეგშიმ** განაცხადა, რომ ამაყია ხმის მიცემის პროცესის vjeln გამჭვირვალობით.

ასე რომ, 2026 წლის ოლიმპიადის ჩატარებაზე დარჩა ორი კანდიდატი - მილანი (იტალია) და სტოკჰოლმი (შვედეთი). თამაშების დედაქალაქს გაარკვევენ 2019 წლის 23 ივნისს, ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე.

ჭადრაკი

# მერვე ყაიმი

ლონდონში გაგრძელდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩი მოქმედ ჩემპიონს **მაგნუს კარლსენსა** და პრეტენდენტ **ფაბიანო კარუანას** შორის. გაიმართა მერვე პარტია და დაფიქსირდა მერვე ყაიმი.

თეთრი ფიგურებით ამერიკელი დიდოსტატი თამაშობდა. მეტოქეები 38-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

შეგახსენებთ, რომ წინა შვიდი პარტიაც ყაიმით დასრულდა და მატჩში ანგარიშია - 4:4. მეცხრე პარტია ოთხშაბათს გაიმართება. თეთრი ფიგურებით კარლსენი ითამაშებს.

მატჩი კლასიკური ფორმატის 12 პარტიისგან შედგება. ჩემპიონი გახდება ის მოჭადრაკე, რომელიც პირველი დააგროვებს 6.5 ქულას. ფრის შემთხვევაში, დაინიშნება ტაი-ბრეიკი.

# მარია შარაპოვა: შეუჩერებელი. ჩემი ცხოვრება




*(გაგრძელება. დასაწყისი N224, 225, 226, 227, 229)*

## III თავი

იური იუდკინმა მოუყვა მამას მოსკოვში „კლინიკის“ შესახებ. ეს იყო პრეზენტაცია რუსი ახალგაზრდებისთვის, რომელიც ერთ-ერთმა ადგილობრივმა საჩოგბურთო ორგანიზაციამ მოაწყო. ასეთი აქციების არსი თქვენ იცით: ჩვენ ველოდებით თქვენს შვილებს - ამბიციურებსა და ნაკლებად ამბიციურებს, მომავალ ჩემპიონებს. მამაჩემმა მიზნად დაისახა - აუცილებლად მივეყვანე ამ სინჯებზე. ზუსტად არ ვიცი, როგორ მოახერხა თვითმფრინავის ბილეთების შეძენა, მაგრამ მას ნამდვილად აქვს ჯადოსნური უნარი - სისრულეში მოიყვანოს ჩანაფიქრი.

ყველაფერი ხდებოდა უზარმაზარ შენობაში, რომელიც ანგარს ჰგავდა - კორტებით, მწვრთნელებითა და ბურთის დარტყმის გაუთავებელი კაკოფონიით. იქ იყო რამდენიმე ასეული ბავშვი, შესაბამისად, ამდენივე „საჩოგბურთო მშობელი“. სიტუაცია განსაცვიფრებელი იყო. სანამ იქ მოვხვდებოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ სოჭის მოთამაშეების გარდა, მსოფლიოში სხვა ჩოგბურთელები არ არსებობდნენ, მე და მამა კი მათგან გამოვირჩეოდით. ახლა კი მივხვდი, რომ მსოფლიოში არსებობს ათეულობით ჩემნაირი გოგონა და თითოეულს ჰყავს მამა, რომელიც თავის ქალიშვილს მიიჩნევს დაბადებულს იმისთვის, რომ მსოფლიოში საუკეთესო გახდეს.

ვიდექი და ვაკვირდებოდი მათ დარტყმებს. ეს მაჯადოებდა, მთრგუნავდა და ამავდროულად, იმედს მისახავდა. უკვე ვგრძნობდი, რომ უმეტეს მათგანზე უკეთესი ვიყავი, რომ სხვადასხვაგვარად ვურტყამდით ბურთს. გასინჯვაზე საჩოგბურთო სამყაროს ბევრი წარმომადგენელი იმყოფებოდა, მათ შორის, მწვრთნელები და მოთამაშეები, რომლებიც მთელს შენობაში მოძრაობდნენ, გვაკვირდებოდნენ და რჩევებს გვაძლევდნენ. მათ შორის იყო მარტინა ნავრატილოვა. ამის გამო ავნერვიულდი - მსოფლიოს უდიადესი ჩოგბურთელი პირდაპირ ჩემ წინ იდგა. ვფიქრობდი, რომ პროფესიონალებთან ერთი ერთზე თამაში მომიწევდა, მაგრამ მე მხოლოდ ექვსი წლის ვიყავი, ასე რომ, არ ვიცოდი ზუსტად - როგორ მოხდებოდა ეს.

უფრო მეტად ეს კონვეიერს მოგაგონებდათ. ელოდი შენს რიგს, შემდეგ ორჯერ-სამჯერ ურტყამდი ბურთს და რიგში ბრუნდებოდი. ჩემს მესამე თუ მეოთხე ცდაზე ნავრატილოვამ ყურადღება მომაქცია. ჩემს ტანთან შედარებით, ხელები და ფეხები ძალიან გრძელი მქონდა, საკუთარი მუხლების ხმა მესმოდა, ხელში დიდი ჩოგანი მეჭირა. ერთი სიტყვით, სასაცილოდ გამოვიყურებოდი და ამან, დიდი ალბათობით, მისი ყურადღება მიიპყრო. შემდეგ კი დაინახა, რომ თამაშიც შემიძლია. პატარა ვიყავი, მაგრამ უკვე კარგი დარტყმა მქონდა და კონცენტრაციაც შემეძლო. როცა დავამთავრე, ნავრატილოვამ მამაჩემი გვერდზე გაიყვანა დასალაპარაკებლად. საჭირო გახდა თარჯიმნის მოყვანა, რადგან მამა ინგლისურად არ ლაპარაკობდა. ზუსტად არ ვიცი, რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ძირითადი აზრი ასეთი იყო: თქვენს ქალიშვილს შეუძლია თამაში. თქვენ ის აქედან უნდა წაიყვანოთ, რათა შეძლოს განვითარება, როგორც მოთამაშემ, ამერიკაში.

როგორც კი სოჭში დავბრუნდით, მამამ გამგზავრებისთვის მზადება დაიწყო. მან მტკიცედ გადაწყვიტა ჩემი წაყვანა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგან ეს ქვეყანა მიაჩნდა ერთადერთ ადგილად, სადაც მე განვითარება შემეძლო. მან ფლორიდა ამოიჩემა. რატომ? ამერიკის სხვადასხვა რაიონისა და საჩოგბურთო აკადემიების შედარებისას, შეიძლება ამისთვის რთული ახსნა მომეძებნა, მაგრამ სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ იური ცრუმორწმუნე ადამიანია და ბედის იდუმალ მინიშნებებს მისდევს. მას კი ჰქონდა მინიშნება, რომელიც ფლორიდაზე მიუთითებდა. ეს ნიშანი მასთან ორი ჟურნალისტური სტატიის სახით მივიდა. ერთი შეეხებოდა დებ უილიამსებს და იმას, თუ როგორ ვარჯიშობენ ისინი ბოკა-რატონში რიკა მაჩის საჩოგბურთო აკადემიაში. მეორე სტატია იყო კურნიკოვაზე და მის ვარჯიშებზე ბრეიდენტონში ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში.

მამას სჯეროდა, რომ იმ მომენტში ეს სტატიები მას შემთხვევით არ ჩაუვარდა ხელში. ხმა ზემოდან ეუბნებოდა - სად უნდა წასულიყო.

დღეს აშშ-ში მგზავრობა, ჩვეულებრივ, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. იღებ ტურისტულ ვიზას, ყიდულობ თვითმფრინავის ბილეთს და მიფრინავ. მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში ასე არ იყო. საბჭოთა კავშირი იშლებოდა. სამუშაოს შოვნა პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო, ეს კი ნიშნავდა, რომ ცხოვრებისთვის და ოჯახის უზრუნველყოფისთვის ფულის შოვნა შეუძლებელი იყო. არანაირი საქმე არ არსებობდა. ფულიც რომ გქონოდა, მაინც არ შეგეძლო უბრალოდ მოხვედრილიყავი ამერიკის რეისზე. შეუძლებელი იყო ვიზის მიღება - მას აძლევდნენ მხოლოდ იმათ, ვინც სახელმწიფო საქმეებზე მოგზაურობდა.

მამაჩემმა იცოდა, რომ რაღაც ოფიციალური მხარდაჭერა სჭირდებოდა, ამიტომაც მისწერა რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის ბავშვთა ეროვნული გუნდის მწვრთნელს. ლაპარაკიც არ იყო იმაზე, რომ მე ამ გუნდში მეთამაშა - ყველა ბავშვი 12 წელზე ზემოთ იყო, მე კი მხოლოდ ექვსი წლის ვიყავი. მაგრამ მამას იმედი ჰქონდა, რომ ფედერაცია სასპონსორო მხარდაჭერას გამიწევდა შორეულ პერსპექტივაზე გათვლით. წერილში მან ახსნა სიტუაცია და აღწერა ჩემი ნიჭი, თან ახსენა იუდკინისა და ნავრატილოვას გვარები. და ამან გაჭრა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მოგვეჩვენა. აღმოჩნდა, რომ გუნდი ფლორიდაში ვარჯიშობდა, სადაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურნესთვის ემზადებოდა. მწვრთნელმა წერილით გვიპასუხა, რომელშიც შეკრებაზე და გუნდთან ერთად სამუშაოდ გვიწვევდა.

მამა მოსკოვში გაემგზავრა მაშინ ის 28 წლის იყო და ეცვა თავისი ერთადერთი კოსტიუმი - საქორწინო. ის მზად იყო მინდობოდა ბედსა და იღბალს. მას ჰქონდა მწვრთნელის წერილი და მონდომებით მოამზადა თავისი სიტყვა. რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, საელჩოს ოფიციალური წარმომადგენლის წინაშე აღმოჩნდა. ეს ადამიანი ყურადღებით დააკვირდა იურის, შემდეგ შეისწავლა წერილი და სხვა დოკუმენტები: ფოტოები, ბეჭდიანი ფურცლები. მთელი ამ დროის განმავლობაში, მამაჩემი გაუთავებლად ლაპარაკობდა, ახსენებდა იუდკინის, მოცარტისა და ნავრატილოვას გვარებს და ნიჭიერებასაც გაუსვა ხაზი.

- მეც მყავს ქალიშვილი, - როგორც იქნა, ხმა ამოიღო ჩინოვნიკმა. - ისიც ჩოგბურთს თამაშობს. რვა წლისაა. მაგრამ, ჩემი აზრით, არანაირ ნიჭიერებაზე ლაპარაკიც არ არის. თქვენი ქალიშვილი ექვსი წლისაა. რატომ მიგაჩნიათ, რომ ის უკეთესია, ვიდრე ჩემი შვილი? იქნებ მოსიყვარულე მამის თვალებით უყურებთ მას?

- თქვენს ქალიშვილს არ ვიცნობ, - უპასუხა იურიმ. - მაგრამ კარგად ვიცნობ ჩემსას. ყველაფერი, რაც მოგიყევით, სიმართლეა.

- თქვენ გინდათ, რომ ექვსი წლის შვილი აშშ-ში წაიყვანოთ სავარჯიშოდ?

- დიახ.

- და ამასთან დაკავშირებით, არანაირი ეჭვები არ გაქვთ?

- არანაირი.

მამაკაცმა მამაჩემს თვალებში ჩახედა.

- დარწმუნებული ხართ?

- დიახ.

- იცით სად უნდა წახვიდეთ და რა გააკეთოთ?

- დიახ.



ამ კაცმა ჩვენ სამწლიანი ვიზები მოგვცა. შემდეგ, მამაჩემს მოუწია რუსეთში დაბრუნება და მათი გაგრძელება. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ოქროს ბილეთი მოვიპოვეთ. თავისუფლად ჩასვლისა და ჩამოსვლის უფლება. ვერც ერთი დღევანდელი ამერიკელი ან რუსი ვერ მიხვდება - რა საოცრება იყო ეს. შეუძლებელი იყო იმ დოკუმენტის შოვნა, რომლის მიღებაც იურიმ მოახერხა. იმ მამაკაცმა, იმ ჩინოვნიკმა, ვინც უნდა იყოს და სადაც უნდა იყოს ახლა, საშუალება მისცა ჩვენს გეგმებს, რეალობად ქცეულიყო. ვინ იცის, რა მოხდებოდა მის გარეშე? რატომ გააკეთა ეს? ეს არის კითხვა, რომელსაც იური დღემდე უსვამს საკუთარ თავს. რა თქმა უნდა, საქმე ჩემში არ იყო. საქმე იურიში იყო. მან რაღაც დაინახა მამაჩემში, მის მისწრაფებასა და მტკიცე გეგმებში. ან იქნებ მოუნდა, უბრალოდ, კეთილი და გულუხვი გამხდარიყო. ან იქნებ, იმ დღეს მზის სხივები განსაკუთრებული კუთხით ეცემოდნენ გზას. არ აქვს მნიშვნელობა, რა იყო მიზეზი, მაგრამ ჩვენ გაგვიმართლა. ძალიან გაგვიმართლა. და, ამავდროულად, არ გაგვიმართლა. ამ ვიზას, მიუხედავად იმისა, რომ ის განსაკუთრებული იყო, შეზღუდვა ჰქონდა: ის გაცემული იყო მხოლოდ ორ ადამიანზე - ჩემზე და მამაჩემზე. და თუ ჩვენ მას გამოვიყენებდით, ეს ნიშნავდა, რომ დედაჩემის დატოვება მოგვიწევდა, თან გაურკვეველი ვადით. იურიმ მოიფიქრა - რა უნდა ეთქვა, რომ დედა დათანხმებულიყო ჩვენს გაშვებას. მამა ხომ სკოლისგან, ოჯახისგან, დედისგან ჩემს მოწყვეტას აპირებდა, მე კი მხოლოდ ექვსი წლის ვიყავი.

როცა დღეს მაშინდელი ამბების შესახებ დედას ვეკითხები, ის მხრებს იჩეჩს.

- მამაშენმა იცოდა, რასაც აკეთებდა, - ამბობს ის.

ბებია თამარა ამასთან დაკავშირებით უფრო გულახდილია.

- ვფიქრობ, დედაშენი დათანხმდა, რადგან მამაშენს შეუძლია ნებისმიერის დარწმუნება, - მიყვებოდა ის. - ის შეიძლება იყოს ძალიან დამაჯერებელი, დედაშენი კი არის ადამიანი, რომელიც პოზიტიურადაა განწყობილი. და აი, ამ ორი რამის კომბინაციამ მისცა საშუალება - განხორციელებულიყო თქვენი გეგმები. შესაძლოა, სინამდვილეში დედაშენს არც უნდოდა ეს, მაგრამ სჯეროდა, რომ ეს ყველაფერი შენთვის კეთდებოდა. მამაშენი ფიქრობდა არა მხოლოდ შენზე, არამედ საკუთარ თავზე, ოჯახზე. რუსეთი ინგრეოდა. ჩოგბურთს შეეძლო მოეცა რაღაც არა მხოლოდ შენთვის, არამედ გამხდარიყო გამოსავალი შენი ოჯახისთვის. თუ ის შეძლებოდა შენი ცხოვრების მოწყობას, მთელი ოჯახი მოახერხებდა შვილის ხარჯზე ცხოვრებას. და მას ეს გამოუვიდა. ყველაფერმა იმუშავა. ამ მხრივ, ის ძალიან მოხერხებული იყო. დედაშენი კი იმ დროს ამაზე არ ფიქრობდა, თუმცა, გულის სიღრმეში მას ესმოდა, რა ხდებოდა სინამდვილეში. ან არ იცოდა... ვინ იცის? შესაძლოა, მამაშენს ეს ყველაფერი განხილული ჰქონდათ მასთან. აი, ჩემთვის და ბაბუაშენისთვის ეს ყველაფერი უბრალოდ საშინელება იყო. იური მოულოდნელად გვიცხადებს, რომ უნდა წაიყვანოს ჩვენი შვილიშვილი ამერიკაში... იმ დროს, იმ ადამიანებზე, რომლებიც ამერიკაში მიემგზავრებოდნენ, შემდეგ არავინ აღარაფერი იცოდა.

*(გაგრძელება მომდევნო ნომერში)*

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
ISSN 2233-3827
9 772233 382000
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში
238 84 44; 599 55 48 97

მთავარი რედაქტორი პაატა გელაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი;

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-18), პაატა გელაშვილი (2018-დან)

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:55
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70; გაზეთის გამოწერა: 238 26 73.
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: 237 50 03; ადგილზე მიტანა უფასოა!